სკოლა

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲡᲐᲛᲨᲠᲝᲤᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ

ᲡᲐᲛᲨᲠᲝᲤᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ

ᲡᲐᲛᲨᲠᲝᲤᲝ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ

ᲡᲐᲛᲨᲠᲝᲤᲝ ᲡᲙᲝᲚᲐ



ძოგა ინასარიძე
ბორისოვიდან

გეგუჩაძემ სიურპრიზი არ გამორიცხა



ბორის დულუბოვსკაიას ფოტოები

გია გეგუჩაძემ, სანდრო იაშვილს საზარდული აწუხებსო. დინამოელმა კი ბელარუსში გაფრენის წინა დღეს სრული დატვირთვით ივარჯიშა

თბილისიდან დაახლოებით 17 საათზე გამოფრენილები ბელარუსის დედაქალაქში აქაური დროით 19 საათისთვის ჩამოვფრინდით და რაკიღა ამათ 1 საათით ვუსწრებთ, გზაში დროც მოვიგეთ. ისე კი, 2 საათი და 40 წუთი ვიფრინეთ.

„დინამომ" უეფას თასის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპმატჩისთვის 20 ფეხბურთელი იახლა. ამათ შორის არ არის სანდრო იაშვილი, რომელსაც მწვრთნელ გია გეგუჩაძის თქმით, საზარდულის პრობლემა აქვს.

ჩვენი თვითმფრინავი აეროპორტ „მინსკი 2"-მა მიიღო. ცენტრალურმა აეროპორტმა უარი გვითხრა იმიტომ, რომ ჩარტერულ რეისებს თურმე „მინსკი 2" მასპინძლობს.

დიდი აურზაურით არ დაგვხვედრიან. ერთი ავტობუსი ფეხბურთელებისთვის, ერთი მინიბუსი ჟურნალისტებისთვის და ერთიც „ინამარკა" „დინამოს" შეფებისთვის.

აეროპორტში ადგილობრივი მილიციელები გამომელაპარაკნენ და საქართველოს ამბები გამომკითხეს. ჩანს, ვარდების სურნელი მარტო ევროპას ან ამერიკას კი არა, სოციალიზმის ერთ-ერთ ბოლო ციტადელ ბელარუსსაც მისწვდა.

ამ აეროპორტიდან ბორისოვომდე 50 კილომეტრია, მინსკიდან ბორისოვომდე კი 70.

„დინამომ" დილით უკვე ივარჯიშა, ამიტომ დღეს სალამოს გეგუჩაძემ ვარჯიში საჭიროდ აღარ ჩათვალა. კითხვაზე, თუ რას აპირებს, მწვრთნელმა ჩაიღიმა და სიურპრიზი არ გამორიცხა.

მინსკში 17 გრადუსი დაგვხვდა, ამინდი მზიანია და სასიამოვნოდ გრილა.

დინამოელები ბორისოვოდან 15 კილომეტრის მოშორებით, ქალაქ ჟოდინოში დაბინავდნენ. ეს ქალაქი გაცილებით პატარაა, ვიდრე ბორისოვო, სადაც ჩვენ დავბინავდით. გზაზე სულ პურის ყანებით „გაძეძგილი" პეიზაჟებია.

გუნდზე საუბარს კი იმით მოვრჩები, რომ ფეხის ტკივილი აწუხებთ გიორგი შაშიაშვილს და ირაკლი ზოიძეს, სამი მეკარის წამოყვანაც ამით ახსნა გეგუჩაძემ.

სტადიონი 5 ათასიანია და როგორც დამხვდურები ვარაუდობენ, შეივსება. ბილეთი სადღაც 1,5-2 დოლარის ეკვივალენტი ღირს ადგილობრივ ზაიჩიკებში.

ბელარუსი აშკარად სოციალისტური შემართებით სუნთქავს. სისუფთავე და წესრიგი, კარგი გზები ეგრევე თვალში საცემია. ჩვენს მწვრთნელს გარკვეული წარმოდგენა კი აქვს მეტოქეზე, მაგრამ ფირებს აქ დაპირებიან და მხოლოდ ამის შემდეგ აპირებს საბოლოოდ ჩამოყალიბებას.

ადგილობრივები დაგვპირდნენ, რომ ბატეს მწვრთნელთან ინტერვიუს ან მინი-პრესკონფერენციას მოგვიწყობდნენ, მაგრამ სასტუმროში მოწყობის მომენტში რესპონდენტთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

ვიცით, რომ ბატე ახალგაზრდული გუნდია და მისგან დაკომპლექტებულმა ბელარუსის ახალგაზრდულმა ნაკრებმა საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა ახალგაზრდულ მსოფლიოს ჩემპიონატზე.

„დინამო" დღეს ბორისოვოს სტადიონზე აქაური დროით 7-ის ნახევარზე ივარჯიშებს, ხვალინდელი მატჩიც ამ დროისთვისაა დანიშნული.

ბორისოვო მუშური ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც გვითხრეს, 150 ათასამდე მაცხოვრებლით.

და, რა თქმა უნდა, პირველი წარწერა, რომელიც ბელარუსის მიწაზე ამოვიკითხეთ: "БЕЛАРУСЬ — СТРАНА ЛЮБВИ"

ძოგა ინასირაძე

წინა სეზონის გუნდი-აღმოჩენა „თბილისი" ევროფრონტზე ხვალიდან იბრძოლებს — აზერბაიჯანული „შამქირი" თბილისში დღეს ჩამოვა და სასტუმრო „ბატესტანში" დაბინავდება. თბილისელები კი დღეს „ლოკომოტივის" სტადიონზე საღამოს რვა საათიდან ივარჯიშებენ. ბარემ იმასაც დავძენთ, რომ მატჩზე დასწრება უფასოა — „თბილის" — „შამქირს" მუქთად შეავლებთ თვალს, თუმც ეს ევროტურნირია და იაფად ვერავინ ვერაფერს მოიპოვებს — ევროსარბიელის დებიუტანტ „თბილისს" შმაგი ბრძოლა მართებს. გუშინ კი „თბილისის" მთავარი მწვრთნელი გიორგი დევდარიანი ჟურნალისტთა წინაშე წარდგა...

წლები და კილომეტრები მთავარია, იყოს ნება

ბორის დულუბოვსკაიას ფოტო

— გუნდის მომზადება 4-5 წლიანი პროცესია და აქცენტი ამისკენაა გაკეთებული. ამ პროცესის გავლის შემდეგ „თბილისი" სერიოზული გუნდი უნდა იყოს. ერთი წელი უკვე უკან მოვიტოვეთ. ახლა ჩვენს ფეხბურთელებს შეუძლიათ, რვა კილომეტრი სხვადასხვა სისწრაფეებზე დაფარონ. ევროპული დონის ფეხბურთელი კი საშუალოდ 15-16 კილომეტრს ფარავს ერთ თამაშში. ნელ-ნელა წინ მივიწევთ, მომდევნო შეკრების შემდეგ 12 კილომეტრამდე ავალთ, მერე 16-მდე.

— რაც შეეხება „შამქირთან" მატჩს, შანსები თანაბარია. ფეხბურთი იმიტომ უყვართ, რომ ის ამოუცნობია.

— ტრავმირებული მხოლოდ გივი კვარაცხელიაა — მას წელი სტკივა და „შამქირთან" პირველ მატჩს გამოტოვებს.

— ჩვენი გუნდის ფეხბურთელთა უმრავლესობას საევროტურნირო გამოცდილება არ გააჩნია, მაგრამ მთავარი მაინც ნებაა — ფეხბურთელი ყველაფერს საკუთარი ნებით უნდა აკეთებდეს, ეს არის ჭეშმარიტი სპორტსმენობა. ფიზიკური კონდიციების ამაღლებაც ნების, მოტივაციის გარეშე არ ხდება.

— ირაკლი მოდებაძის განთავისუფლების ფურცელი უკრაინიდან ჯერ არ მიგვიღია. ამ ტრანსფერთან დაკავშირებით რაღაც პრობლემებია.

— ახალწვეულთაგან კმაყოფილი ვარ სერგო ორბელაძით, ძალიან კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს გიორგი მიქაძეც. ლაპარაკი აღარაა მეკარეზე — დევაძე დევაძეა. ის ჯერ მხოლოდ საუეფასთასოდ გვყავს შეგულებული, მერე კი, შესაძლოა, დატოვებაზეც ვიფიქროთ.

— ის, რომ მე პირველად გავიყვან გუნდს ევროსარბიელზე, ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია, თუ მოტივაცია არსებობს, ჩემთვის ნებისმიერი თამაში გადამწყვეტია.

— „თბილისის" ფეხბურთელთა ამ კონტინგენტით დიდი მიზნებისთვის შეიძლება ფიქრი, თუ, რა თქმა უნდა, იმ პარამეტრებზე გავიყვანთ გუნდს, საითკენაც მივდივართ.

დავით თავართქილაძე

ინგლისი

პრემიერლიგის XI ტური

ვესტბრომიჩი — ბრინდზიჩი გადაიდო
ვიკინგური 0:0 ფრამი
კეფლავიკი — აკურეირი გადადო

ამხანაგური მატჩები

იაპონია 1:0 სერბეთი
ციურიხი 3:2 ცრვენა ზვეზდა
ბაზელი 1:4 სოფო
ჰერენვენი 3:3 ბრიუგე
მიუნხენი 2:3 ბრონდბიუ

ავსტრია

მაძსბუნდესლიგა. პირველი ტური

ტიროლი 1:0 გრაცერი

ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატი

A ჯგუფი. I ტური

შვეიცარია 1:1 იტალია
ბელგია 0:0 უკრაინა

B ჯგუფი. I ტური

გერმანია 0:3 ესპანეთი
პოლონეთი 3:4 თურქეთი

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

I საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩები

სლოვა (მალტა) 0:2 კაუნასი (ლიტვა)
0:1 დ. ჟუტაუტასი (55), 0:2 სანაკევასი (77)
პოგონია (მაკედონია) 1:3 პიუნიკი (სომხეთი)
0:1 მანუჩარიანი (15), 0:2 ჰოვანესიანი (26), 0:3 მანუჩარიანი (40), 1:3 გეოსოკი (81)
შიროკი ბრიგი (ბოსნია) 2:1 ნეფთჩი (აზერბაიჯანი)
1:0 ტაბია (69), 2:0 იურიჩიჩი (74), 2:1 ტაგიზადე (90)

უეფას თასი 2004-2005

I საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

მიკა (სომხეთი) 0:1 ჰონვედი (უნგრეთი)
0:1 ჩობანკი (90)

ირაკლი მოდებაძე თბილისში გაუჩინარდა

ბორის დულუბოვსკაიას ფოტო

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების თავდამსხმელ ირაკლი მოდებაძის ბედი ჯერაც გაურკვეველია. ფეხბურთელი „თბილისში" ვარჯიშობს, თუმც მისი ყოფილი კლუბი ზაპოროჟიეს „მეტალურგი" განთავისუფლების ფურცელს არ იძლევა.

ამ ამბავმა გვარიანად რომ შეაფიქრიანა „თბილისის" ხელმძღვანელობა, ორიოდ დღის წინ გაუწყეთ. იქვე ვთქვით, თბილისელებმა დახმარება ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ მერაბ ჟორდანიას სთხოვესო, რომელმაც თავის მხრივ უკრაინელი კოლეგა გრიგორი სურკისი შეაწუხა.

როგორც ჩანს, ტრანსფერს ჯერაც არ უჩანს პირი — შეკრებაზე მყოფმა „მეტალურგმა" ამ დღეებში რამდენიმე ამხანაგური მატჩი ჩაატარა და მწვრთნელებმაც ბლომად ახალწვეულები გასინჯეს, თუმც ზაპოროჟიელები ქართველ ფეხბურთელსაც არ ივიწყებენ და გუნდში კვლავაც ელიან. მოდებაძე გაურკვეველი მიმართულებით გაუჩინარდა და დღემდე არ გამოჩენილა, მისი საკითხი ისევ ღიად რჩებაო, წერს უკრაინული „კომანდა".

კახა შალამბერიძე

ჩემპიონთა ლიგა 2004-2005

UEFA CHAMPIONS LEAGUE

I საკვალიფიკაციო ეტაპი. პირველი მატჩი

თბილისი. 14 ივლისი. 18 საათი. ეროვნული

ვიტ ჯორჯია — ტორსპავნი



გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

„ვიტ ჯორჯიას“ კაპიტანი ლაშა ნოზაძე ფარერელებს იმედიანად ხვდება

დღეს თბილისური „ვიტ ჯორჯია“ პირველად ითამაშებს ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე. საქართველოს ჩემპიონი ფარერულ „ტორსჰავნს“ „ეროვნულზე“ 18 საათზე უმასპინძლებს. სიმბოლურიცაა — „ვიტ ჯორჯია“ იქ მოიწყობს საჩემპიონთალიგო დებიუტს, სადაც ქვეყნის საუკეთესო გუნდის სახელი. მოიპოვა... გუშინ კი ვეტერინარებმა „ტორსჰავნთან“ მატჩამდე ერთხელაც გათელეს „ეროვნულის“ ბალახი...

პირველი, რაც თვალში მოგვხვდა, ახალი ფორმაა — გერმანულ შეკრებაზე მყოფმა „ვიტ ჯორჯიამ“ შინ „უნისპორტის“ ეკიპირება გამოიყენა და ვეტერინარებიც ახალ სეზონში ამ ფორმებით ითამაშებენ.

ვარჯიში კი ინტენსიური გამოდგა. მერაბ კოჭლაშვილის ბიჭები დავალების შესრულებას მაღალ ტემპში ცდილობდნენ და ერთი-ორჯერ ისე შევიდნენ ეშხში, რომ კინაღამ დაშავეს ერთმანეთი.

წვრთნას კლუბის თავკაცთა მთელი შტაბი ადევნებდა თვალს პრეზიდენტ გურამ რუხაძის თამადობით. გუნდს კი თავის ხელმძღვანელებიანად ერთი პასუხი აქვს ღღევანდელ მატჩზე: ჩვენ შემდეგ ეტაპზე უნდა გავიდეთ!

ახლა შემადგენლობაზეც — გიორგი ადამიას, რევაზ გოცირიძისა და მირზა მერლანის წასვლის მერე ძირითადში, ცხადია, ცვლილებები იქნება. ვარჯიშიდან აშკარად ჩანდა, რომ მერაბ კოჭლაშვილი კარს წინა სეზონში „რუსთავიდან“ გადაბირებულ გრიგოლ ბედიაშვილს ანდობს. მწყობრშია ოთხივე საყრდენი მცველი — ალექსანდრე ინწკირველი, თენგიზ კობიაშვილი, დავით იმედაშვილი და ოლეგ გველესიანი, თუმცა დიდი შანსია, მწვრთნელმა 3-5-2 ტაქტიკა არჩიოს და ამათგან ოდენ სამს დაეყრდნოს დაცვაში. თუ ასე მოხდა, მაშინ გველესიანი ნახევარდაცვაში აიწევს და მარცხენა ფლანგის კონტროლი დაევალება. რაც შეეხება შუტევას, გოცირიძის ადგილს ალბათ ბოლოხანს უნივერსალად და გაჭირვების ტალკვესად ქცეული ვლადიმერ გოჩაშვილი დაიჭერს. ნახევარდაცვის ღერძი კი „ძველია“ — ლაშა ნოზაძე, დავით დიღმელაშვილი და პავლე დათუნაიშვილი.

გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

მერაბ კოჭლაშვილის მთავარი იარაღი ოთარ მარცვალაძეა

და კიდევ, კოჭლაშვილს კუნძულელთათვის ერთი იარაღიც აქვს შემონახული — ოთარ მარცვალაძე. ვარჯიშის მიწურულს ვეტერინართა თავმა კარგა ხანი ავარჯიშა ახალგაზრდა თავდამსხმელი. მარცვალაძის ფეხები ყველგანაა საჭირო — კუთხურისას, საჯარიმოში, ფლანგზე — მარცვალაძეს ეს შეუძლია და მწვრთნელიც საგანგებო ყურადღებას უთმობს მას.

იქამდე კი ფეხბურთელებმა პრესინგით დაღალეს ერთმანეთი, ოღონდ ეფექტი ამ დაღლასაც ჰქონდა — პრესინგი ჯერ მოედნის მეოთხედზე გაჩაღდა, გარკვეული დროის შემდეგ სათამაშო ფართობი მცირდებოდა და ბოლოს ისე შევიწროვდა, რომ ლამის საცობებიც გაჩნდა.

იმედია, დღეს „ვიტ ჯორჯია“ ზუსტად ასევე შეავიწროვებს „ტორსჰავნს“ და ჩვენთვის უკვე სანატრელად ქცეულ მეორე ეტაპს დაიბევებს. თუმცა რაღა იმედი, პირდაპირ ვთქვათ, რომ „ვიტ ჯორჯია“ ვალდებულია, ფარერული ბარიერი გადალახოს.

ძალა შალამბერიძე

ვიტ ჯორჯია ევროთასეულზე

უეფას თასი 2000-01

პირველი საკვალიფიკაციო ეტაპი

ვიტ ჯორჯია — *ბეითარი (ისრაელი)* 0:3, 1:1

ინტერტოტოს თასი 2001

პირველი ეტაპი

ვიტ ჯორჯია — *რიდი* (ავსტრია) 1:0, 1:2

მეორე ეტაპი

ტრუა (საფრანგეთი) — **ვიტ ჯორჯია** 6:0, 1:1

ინტერტოტოს თასი 2002

პირველი ეტაპი

ლოკერენი (ბელგია) — **ვიტ ჯორჯია** 3:1, 2:3

ინტერტოტოს თასი 2003

პირველი ეტაპი

პაშინგი (ავსტრია) — **ვიტ ჯორჯია** 1:0, 1:2

გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

ვინ ჩაიფსაძს ვიტ ჯორჯიასთან?

ფარერების ჩემპიონი, ტორსჰავნის „ჰაფნარ ბოლტფელაგი“ ეროვნულ სტადიონს „იკარუსით“ მოადგა საღამოს ექვსი საათისთვის. მოედანზე გასული ჰაფნარელები სტადიონს ფაციცით ათვალიერებდნენ. თუმც ხუთწუთიანმა დაშტერებამ მალე ჩაიარა. ფარელელებს სავარჯიშოდ არც ბურთები გაჩნდათ, არც „ფიშკები“ და არც უმკლავო გადასაცმელები — ყოველივე მათ მასპინძელმა გუნდმა მიაწოდა. სტუმრებს ოდენ სავარჯიშო ფორმა წამოულიათ სამშობლოდან, ხოლო თბილისში უხვად ნაყიდი მტკნარი წყალი სტადიონზეც მოეზიდათ.

ვარჯიში ახალი დაწყებული იყო, როცა „ჰაფნარის“ ერთ-ერთმა ფეხბურთელმა ჩრდილოეთ ტრიბუნასთან მირბინა და მოშარდა. თანაგუნდელის საქციელით გამხნევებული სხვა ჰაფნარელებიც ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ დაიძრნენ. ფარერელთა დანიელმა მოთამაშემ-მწვრთნელმა ჰეიენ ფერნანდესმა კი სამხრეთ-დასავლეთი არჩია და იქ მოფსა.

სავარჯიშო გარჯა და შემართება კი 37 წლის ფერნანდესს არ დაეწუნებოდა. დანარჩენმა ჰაფნარელებმაც ძალიან ენინიანად ივარჯიშეს. წყალს ბევრს სვამდნენ ფარერელები და ორკარას თამაშისას გატანილ გოლებზე მაგრად ყვიროდნენ.

ერთსაათიანი წვრთნის შემდეგ „ჰაფნარი“ ეროვნულ მინდორზე წამოკოტრიალდა და სულს ითქვამდა. ამასობაში „ვიტ ჯორჯია“ გამოვიდა სავარჯიშოდ. ტორსჰავნელებიც წამოდგნენ და ზლაზვნით დაუცალეს ფართობი ვიტელებს. თუმც ფერნანდესი მალევე დაბრუნდა არენაზე, გვირაბთან გაჩერდა და სანამ ღერ სიგარეტს ჩაკლავდა, მეტოქის ვარჯიშს უცქერდა.



ჰეიენ ფერნანდესი



ჯეი პი ლასენი

გურამ დოლიძეგაბელის ფოტოები

სტუმართაგან კლუბის წარმომადგენელს გავესაუბრეთ. მენეჯერის შტატი ჩვენთან არ არის, კლუბს პრეზიდენტი მართავს, თუმც კლუბის საქმიანობაში მეც ვმონაწილეობო — ასე წარმოგვიდგინა ფარერელმა თავი — *ჯეი პი ლასენს* ეროვნულ სტადიონზე ნამდვილად არ მოუფსია.

— რა შემოსავლებით ინახავთ კლუბს?

— „ჰაფნარი“ ნახევრადპროფესიული გუნდია. საშინაო მატჩებზე ბილეთებს ვყიდით და რამდენიმე სპონსორიც გვყავს. ჩვენი გუნდი სისტემატურად მონაწილეობს ევროტურნირებზე და ფული აქედანაც შემოგვდის.

— გუნდი ნახევრადპროფესიულიაო, თქვით — რას გულისხმობთ?

— ჩვენთან ფეხბურთელები დღე მუშაობენ, საღამოს ვარჯიშობენ, უქმეებზე კი თამაშობენ.

— და ასეთ ფეხბურთელებს კარგი ანაზღაურება აქვთ?

— თვეში დაახლოებით ათასი დოლარი.

— ჰაფნარის“ მოთამაშე-მწვრთნელი ფერნანდესი რეგულარულად თამაშობს?

— ის თითქმის სულ არის სასტარტო თერთმეტეულში — ფერნანდესი ფორვარდია.

— „ვიტ ჯორჯიასთან“ თქვენს შანსებს როგორ შეაფასებდით?

— ჩვენ რანგით უფრო დაბალი გუნდი ვართ და „ვიტ ჯორჯიასთან“ კარგი შანსი არ უნდა გვქონდეს.

— ქართულ ფეხბურთზე თუ გაქვთ ზოგადი წარმოდგენა?

— 1996 წელს ბათუმში ვითამაშეთ და 0:6 წავაგეთ. ვიცოდით, რომ თქვენთან მაგარი სიცხე იქნებოდა. 1996 წლის გუნდიდან კი „ჰაფნარს“ ორი ფეხბურთელი შემორჩა.

— ყველაზე ჰოპულარული ფეხბურთელი თქვენში ვინაა?

— იაკუპ ბორგი.

დავით თავართქილაძე

სვანაძემ ლოკომოტივი არ იცის, ლოკომოტივმა პატრონი

ათდღიანი უზბეკური შეკრებიდან გუშინწინ დაბრუნებულმა „ლოკომოტივმა“ გუშინ თბილისში განაახლა ახალი სეზონისთვის მზადება. მწვრთნელ ზაურ სვანაძის თვალწინ დღესდღეობით ოცდაათამდე ფეხბურთელი კი ვარჯიშობს, მაგრამ რკინიგზულ კლუბსა და მათი მომავალი პატრონის, „აბრეშუმის გზას“ შორის საბუთების იურიდიულად გაფორმება ისე გაჭიანურდა, ხელმძღვანელობამ ჯერ კიდევ საბოლოოდ არ იცის, რა კონტინგენტით შეხვდება გუნდი 24 ივლისს დასაწყებ ჩემპიონატს.

ისე კი, კლუბში არსებული გაურკვეველი ვითარების მიუხედავად, სვანაძე უზბეკურ შეკრებასა და გუნდის მომზადების დონეზე არ ჩივის...

ბადრი ბერიძის ფოტო

როდის იქცევა რკინა აბრეშუმად?

— უზბეკეთში ტაშკენტთან ახლოს მდებარე სპორტულ ბაზაზე ვცხოვრობდით, მოსამზადებლად, მიუხედავად 45 გრადუსი სიცხისა, თითქმის იდეალური პირობები გვქონდა, ხალიჩასავით მოედნებით დაწყებული, აღდგენითი ცენტრით დამთავრებული — გვითხრა „ლოკომოტივის“ მწვრთნელმა — ორჯერადი ვარჯიშები გვქონდა, დილასაღამოს და სიცხეს მაინცდამაინც არ შევუწუხებივართ, გვქონდა სამჯერადი ვარჯიშებიც. კმაყოფილი დავრჩი. ბიჭების მომზადების დონე ამ ეტაპზე ნორმალურია.

— უზბეკეთში ამხანაგური მატჩები კი გქონდათ, მაგრამ ოთხი თამაშიდან ერთი მოგება დამაკმაყოფილებელ შედეგად ვერ ჩაგეთვლებათ...

— სხვათა შორის, ნუ იფიქრებთ, უზბეკური ფეხბურთის დონე დაბალია. „ლოკომოტივმა“ ტაშკენტში ერთი თამაში წააგო, უზბეკეთის ნაკრებთან, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპისთვის ემზადებოდა და ამ დღეებში ოფიციალური თამაში ელის. პირველი მატჩი კი უზბეკ ახალგაზრდებთან იყო და 2:2 მორჩა, მეორე შეხვედრა ტაშკენტის „ლოკომოტივთან“ ჩავატარეთ და 3:0 მოვიგეთ. გოლები გაგუამ, ონიანმა და ბესარაშვილმა გაიტანეს. ერთი მატჩიც „ლოკომოტივი 2“-ით „პახტაკორთან“ ვითამაშეთ და 0:1 წავაგეთ. შედარებით ახალგაზრდებსა და გამოცდილებსაც ჰქონდათ უზბეკეთში თავის გამოჩენის საშუალება.

— „ლოკომოტივი“, ფაქტობრივად, ახალ გუნდს აწყობს, ჩემპიონატი კი ორ კვირაში იწყება. შეგიძლიათ თქვათ, „ლოკომოტივის“ ყველაზე დიდი ნაკლი ამჟამად რა არის?

— ეგ თუ გითხარით, რაღა გამოვიდა?! მეტოქემ ჩვენი ნაკლი რატომ უნდა იცოდეს?

— ზოგადად, ბევრი ნაკლი აქვს „ლოკომოტივს“?

— ბევრი არა. ხარვეზები, რა თქმა უნდა, არის, მაგრამ იმედი მაქვს, ჩემპიონატის დაწყებამდე ყველაფერს გამოვასწორებთ.

— შეკრებისას ბევრმა ფეხბურთელმა გაგიცრუათ იმედები?

— ვერ ვიტყოდი, რომ ბევრმა. უფრო ბევრმა ფეხბურთელმა იმედები გამიმართლა. მთლიანობაში კი კმაყოფილი დავრჩი.

— ჩემპიონატსაც იმ შემადგენლობით დაიწყებთ, რომელიც უზბეკეთში გყავდათ?

— არა, ეს შემადგენლობა საბოლოო არ არის. შესაძლოა, ჩემპიონატის დაწყებამდე ორი-სამი გამოცდილი ფეხბურთელი დაგვემატოს, არაა გამორიცხული, რამდენიმე დაგვტოვოს კიდეც.

— რომელი ფეხბურთელები მიდიან?

— ზუსტად ჯერ არ ვიცი. ჩვენი ახალი, ფაქტობრივად, სპონსორი „აბრეშუმის გზა“ ფეხბურთელებს სათითაოდ კი უთანხმებს პირობებს, მაგრამ ვის დააკმაყოფილებს მათი წინადადება, ვის — არა, ჯერ ვერ გეტყვით. ისე კი, უზბეკეთში წასვლამდე მეკარე დავით გვარამაძე გვყავდა შეგულებული, მაგრამ ბოლო მომენტში შემოგვითვალა, უცხოურ გუნდში გადასვლის ვარიანტი მაქვსო და შეკრებაზე წამოსვლა ვეღარ მოახერხა.

— ბოლო დროს „ლოკომოტივიდან“ თქვენს შესაძლო წასვლაზეც რომ ლაპარაკობენ?

— არა, ასეთი რამ თქვენგან პირველად მესმის. ჩემთან ამის თაობაზე არავის არაფერი უთქვამს. რომ აპირებდნენ ჩემ გაშვებას, აქამდე მეცოდინებოდა.

— „ლოკომოტივის“ სპონსორი „აბრეშუმის გზა“ ოფიციალურად როდიდან იქნება?

— ეს საკითხი საბოლოოდ უახლოეს ორსამ დღეში დაზუსტდება და ალბათ ყველა საჭირო საბუთიც იურიდიულად გაფორმდება.

— და ერთიც, უზბეკურ ფეხბურთზე. რა დონეზე არიან ისინი?

— უზბეკეთის ნაკრებში შვიდი ლეგიონერია, შვიდივე რუსეთში თამაშობს და ამ მხრივ ჩვენს ნაკრებს, რა თქმა უნდა, ჩამორჩებიან. უზბეკები ტაქტიკურად გამართულ, შეიძლება ითქვას, ტექნიკურ ფეხბურთსაც თამაშობენ, ტემპმა კი მართლაც გამაოცა. არ მეგონა, უზბეკეთში ასე სწრაფად თუ თამაშობდნენ, ბურთი, ფაქტობრივად, არ ჩერდება, შესაბამისად, ფეხბურთელებიც მოუღლელად დარბიან. ჩვენთან თამაშისის ტრავმებსაც უფრთხილდებოდნენ. მათ ხომ ახლა ოფიციალური მატჩები ელით, თუმც აშკარად ჩანდა, რომ უზბეკეთის ნაკრებს დიდი პოტენცია აქვს. თანაც, თითქმის იდეალურ პირობებში ემზადებიან. მოედნები კი, ყველგან, სადაც ვითამაშეთ, როგორც გითხარით, ხალიჩასავით სწორია.

ძოგა ინასარიძე

საქართველოს სამგზის ჩემპიონი ქუთაისის „ტორპედო“ საგანგებო მდგომარეობაშია. გუნდი 20 ივნისიდან ვარჯიშს ვი შეუდგა, მაგრამ ფინანსური პრობლემების გამო რიონისპირელთა მომავალი ყველავ ბუნდოვანი ჩანს. ცოტა ხნის წინ ქუთაისში მოსკოვის „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი ვალერი ფილატოვი რომ ჩამოვიდა, იცით. და გაჩნდა იმედი, რომ ის „ტორპედოს“ დაეხმარებოდა, თუმცა მოსკოვიდან ქუთათურებს პასუხისმაგვარიც არ მიუღიათ.

ამ დღეებში ქალაქში ხმა დაირხა, გუნდის პატრონობას ცნობილი ბიზნესმენები, ბიძინა ივანიშვილი ან ანზორ ყიყალიშვილი ითავებენო, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს გულშემატკივართა სურვილი უფრია, ვიდრე რეალობა.

თუ რა ვითარებაა დღეისთვის გუნდში, ამის გასარკვევად სალორიას ბაზას ვესტუმრეთ და მთავარ მწვრთნელს ოთარ გაბელიას ვესაუბრეთ...

შორი გზიდან პასუხს ველი...

— ბატონო ოთარ, როგორ ემზადება გუნდი ახალი სეზონისთვის?

— ჩვეულებრივად ვემზადებით, დღეში ერთხელ ვვარჯიშობთ. უცხოურ შეკრებას ვინ ჩივის, ორჯერად ვარჯიშსაც ვერ ვახერხებთ.

— მოსკოვიდან დახმარება საბოლოოდ გამოირიცხა?

— ასე გამოდის. თუ დახმარება უნდოდათ, აქამდეც გვეტყოდნენ. სხვებზეც იყო საუბარი, თუმცა უშედეგოდ.

— ხელფასები თუ დარიგდა?

— ერთი თვის ხელფასები მოგვცეს. იმედია, მალე დავალიანებას მთლიანად გაგვისტუმრებენ.

— ადრე გვითხარით, ფინანსები თუ იქნა, რამდენიმე ცნობილ ფეხბურთელს დავიმატებთო...

— მყავდა შეგულებული რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც ნორმალური პირობების შემთხვევაში ქუთაისში ითამაშებდნენ, მაგრამ ჩვენთან სიტუაცია ისევ მძიმეა და მათაც სხვა გუნდებს მიაშურეს.

— ახალწვეულებზე რას იტყვით?

— გიორგი რევაზიშვილი ჩვენთან აღარ ითამაშებს. გია მეგრელაძის „ტორპედოში“ დარჩენა გადაწყვეტილია. ისევე, როგორც ბულგარული „ჩერნო მორედან“ წამოსული ვლადიმერ კაკაშვილისა.

— მიხეილ მახვილაძე რჩება თუ მიდის?

— მას ჩვენთან კონტრაქტი დაუმთავრდა და სხვაგან ითამაშებს. სად, არ ვიცი.

— თქვენი აზრით, ამ გუნდით რა მიზნები შეიძლება დაისახოთ?



ბადრი ბერიძის ფოტო

— ასეთი პირობებით და ასეთი კონტინგენტით უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება თუ შევძელით, კარგი იქნება.

— ამხანაგურ თამაშს თუ გეგმავთ ვინმესთან?

— „ბათუმს“ მოველაპარაკებით და ალბათ ამ დღეებში ვითამაშებთ.

გია ამირანაშვილი
ქუთაისიდან

მერლანი მუჯირის გზას დაადგა

საქართველოს ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ პირველმა მეკარემ, მირზა მერლანმა რომ დატოვა, უკვე გაუწყეთ. მერლანს კარიერის გასაგრძელებლად ორი გზა ჰქონდა, რუსული და ირანული.

როგორც შევიტყვეთ, მირზამ არჩევანი სპარსულ ვარიანტზე შეაჩერა. მას აქაც საქმე ასარჩევად ჰქონდა, თუმცა ყველაზე რეალური მაინც „სეპაჰანში“ გადასვლის ვარიანტი ყოფილა. შეგახსენებთ, რომ ამ ირანულ გუნდში კიდევ ერთი ექსვიტჯორჯიელი, ჯაბა მუჯირი თამაშობს.

მერლანი ახლა ირანშია ახალ კლუბთან მოსალაპარაკებლად.

მე-15 ეროვნული ჩემპიონატი მერლანისთვის მართლაც ჩინებული სეზონი იყო — „ვიტ ჯორჯიას“ გაჩემპიონებაში ლომის წილი დაიდო. სამწუხარო იქნება, მეკარეების პრობლემით ისედაც გაწვალებულ ქართულ ფეხბურთს ეს ნიჭიერი მეკარეც რომ დაეკარგოს თვალთახვედის არედან. ირანის ჩემპიონატისთვის თვალის მიდევნება ხომ ნაკრების მწვრთნელებს ძალიან გაუჭირდებათ. ერთი ეგაა, რომ ირანის თასის მომგები „სეპაჰანი“ წლეულს აზიის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშებაში ჩაებმება.

დავით ერაძე



გიგიაძე ტავრიაში მეექვსედ დაბრუნდა

ელისტის „ურალანმა“ ვერ შეძლო ფინანსური პრობლემების მოგვარება და ქართველ ფორვარდს ვასო გიგიაძეს განთავისუფლების ფურცელი მისცა. ვასოს რამდენიმე რუსული და უკრაინული გუნდი იწვევდა, საბოლოო არჩევანი კი ფეხბურთელმა თავისი ყოფილი კლუბის სასარგებლოდ გააკეთა — გიგიაძე ამ დღეებში სიმფეროპოლის „ტავრიასთან“ ერთწლიან კონტრაქტს გააფორმებს და ყირიმული გუნდის მეექვსე ქართველი იქნება ძმები ჩხეტიანების, იმედაძის, იონანიძის და ჭანტურიას შემდეგ.

გია ამირანაშვილი *ქუთაისიდან*

სოლანომ კოლუმბიას გოლი გაახსენა

ვენესუელას მოგება დაავიწყდა

REUTERS-ის ფოტოსადგან

პერუ — კოლუმბია. სტუმარმა ედვინ კონგომ (№16) მასპინძლებს თავური გაუტანა

პერუმ მეორედ მოახერხა ორბურთიანი სხვაობის გაბათილება. მასპინძლებმა პირველად ეს ბოლივიასთან შეძლეს, ამჯერად კი კოლუმბიასთან და მეოთხედფინალშიც გავიდნენ.

კოლუმბიელები ედვინ კონგოს თავურით პირველ ტაიმშივე დაწინაურდნენ. შესვენების შემდეგ პერუელთა კარში მეორე გოლი 19 წლის აბელ აგილარმა შეაგდო, კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი შვიდიოდ მეტრიდან ბადეში შეაჭიკარტა.

დამხვდურები ამის მერეღა გამოცოცხლდნენ დ სწრაფად გაქვითეს. ასტონვილელმა ნოლბერტო სოლანომ საჯარიმო დარტყმა ბრწყინვალედ შეასრულა და ოსკარ იბანიესი ადგილზე გააშეშა.

ანდრეს მენდოსას მალევე შეეძლო მეორის გატანა, მაგრამ ახლოდან აცილა, თუმც მენდოსამ გაცუდებული მომენტიდან ორიოდ წუთში მაესტრის საგოლე პასი გაუჩარხა და ბრაზილიური „ვიტორიას“ ლეგიონერმაც ივარგა.

იშტაზე მოსულ მასპინძლებს, მოგება სურდათ და უტევდნენ კიდეც, მაგრამ კოლუმბიელთა მეკარე ოსკარ იბანიესმა არ დაანება.

აღსანიშნავია, რომ „კოპა ამერიკის“ ამჟამინდელ მფლობელ კოლუმბიას 2001 წელს გამართულ სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატზე ექვს მატჩში გოლი არ გაუშვია და მათ კარს საკეტი სოლანომ ახსნა.

ვენესუელა კი „კოპა ამერიკას“ დაემშვიდობა, ხოლო ორქულიან ბოლივიას მესამე ადგილიდან მეოთხედფინალში მოხვედრის შანსი ჯერ კიდევ აქვს.

ბოლივიელთა მეკარე ლეონარდო ფერნანდესმა რიჩარდ პაესის დარტყმული ბურთი ცხვირწინ მოიგერია, მორანმა კი მცველებს დაასწრო და ახლოდან შეაგდო.

გონსალო გალინდომ მალევე გაათანაბრა — შორიდან დაჰკრა და ჯილბერტო ანგელუჩის მარცხენა დაბალ კუთხეში გაუტანა.

ამ გოლიდან ექვს წუთში ანგელუჩიმ იყოჩაღა — ლიმბერგ გუტიერესმა ორჯერ შეასრულა საჯარიმო და ვენესუელელთა მეკარემ ბურთი ორჯერვე ცხრიანიდან გამოაძრო.

ბოლივიელებს ტრავმირებული კაპიტანი ლუის კრისტალდო აკლდათ, ხოლო 22-ე წუთზე ლიმბერტ პიზარო დაუშავდათ, რომელიც შესაცვლელი გახდა.

შეცვლაზე შესულმა ალექს რონდონმა ბურთი ერთხელ ძელს მოარტყა, მეორედ კი ლეონარდო ფერნანდესმა აჯობა.

ბოლივიელმა როხერ სუარესმა ბოლოსკენ რამდენიმე ხელსაყრელი საგოლე მომენტი გააცუდა.

ვენესუელა შინ ორი მარცხით და ერთი ფრით გაემგზავრა, ამ ქვეყნის ნაკრებს „კოპა ამერიკაზე“ 1967 წლის შემდეგ მატჩი არ მოუგია.

ვაჟა ხუციშვილი

კოპა ამერიკა 2004

პერუ (6-25 ივლისი)

A ჯგუფი. III ტური

პერუ 2:2 კოლუმბია

0:1 კონგო (33), 0:2 აგილარი (53), 1:2 სოლანო (57), 2:2 მაესტრი (60)

პერუ: ო. იბანიესი, აკასიეტე, რებოსიო (ხ. სოტო 13), ვილკესი, სოლანო (სიურლიცა 89), ხაიო, პალასიოსი, გ. სალასი, მაესტრი (პედრო გარსია 75), ა. მენდოსა, ფარფანი

კოლუმბია: ენაო, გ. მარტინესი, ოროსკო, დინასი (ა. გონსალესი 44), ვიქტორია, ო. დიასი, ვიაფარა, აგილარი, მორანტესი (დ. ფერეირა 77), ე. მურილიო, კონგო (ე. პერეა 77)

მსაჯი: მარკო როდრიგესი (მექსიკა)

25 000 მაყურებელი

ვენესუელა 1:1 ბოლივია

1:0 მორანი (27), 1:1 გალინდო (33)

ვენესუელა: ანგელუჩი, ვალენილია, რეი, ხონაი ერნანდესი, ჩიკერო, პაესი, ლ. ხიმენესი, არანგო, ა. გონსალესი (ვიელმა 75), რ. მორანი (რონდონი 57), მარჯოტა (ე. გონსალესი 65)

ბოლივია: ლ. ფერნანდესი, ს. ხაურეგი, არანა, რალდესი, ლ. ალვარესი, ლ. პიზარო (ტუფინო 22), გალინდო, რ. სუარესი (ვ. ფლორესი 70), ლ. გუტიერესი, მერკადო (არსე 59), ბოტერო

მსაჯი: ვილმერ მატუსი (კოსტა რიკა)

25 000 მაყურებელი

საბოლოო ცხრილი

კოლუმბია	3	2	1	0	4:2	7
პერუ	3	1	2	0	7:5	5
ბოლივია	3	0	2	1	4:2	2
ვენესუელა	3	0	1	2	2:5	1

კოლუმბია და პერუ გავიდნენ მეოთხედფინალში

რატომ ეძინება ალექსს მოედანზე?

ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელმა კარლოს ალბერტო პარეირამ ალექსს „ფენერბაჰჩეში“ გადასვლა ურჩია

ალექს ალესანდრო დე სოუზა 26 წლისაა. კოპა ამერიკაზე ბრაზილიის ნაკრებს კაპიტნობს, შარშან კი „კრუზეიროს“ შემადგენლობში ქვეყნის ჩემპიონი და საუკეთესო ფეხბურთელი გახდა. „კრუზეიროს“ მაისურით 110 მატჩში 57 გოლი მიითვალა.

ჩილესთან 4:1 მოგებულ შეხვედრაში სამ საგოლე კომბინაციაში მისი ფეხი ერია, ხოლო პირველი ტაიმის მიწურულს ადრიანოს ისეთი პასი გაუხერხა, რომ მნახველებს გაოცებისგან თვალები დაატყვრეცინა.

„ჩილესთან გატანილი პირველი ნაღდად საამო საცქერი გამოდგა. ასეთ გოლს ყოველდღე ვერ ნახავთ, თითქმის მთელი გუნდი მონაწილეობდა, მოედანი პასებით დავხაზეთ“.

ფეხბურთზე მწერალმა ბრაზილიელმა ჟურნალისტებმა ალექსის ავანჩავანი შესანიშნავად იციან. თამაშისას დროდადრო აფეთქდება ხოლმე და სასწაულების მოხდენა შეუძლია, მაგრამ ერთი ნაკლი აქვს, ზოგჯერ ისე დაიკარგება მოედანზე, თითქოს დაეძინაო. გულშემატკივრებმა ამიტომაც შეარქვეს მეტსახელად „ალექსოტანი“ — საძილე წამლის სახელი.

„ნებისმიერ ფეხბურთელს საკუთარი სტილი აქვს. ხან ყველაფერი კარგად გამომდის, ხან — არა. არ ვიცი, სხვათა კარგი ან ცუდი თამაში რაზეა დამოკიდებული, მაგრამ მე მოედანზე მეძინება და უცბად მელვიძება ხოლმე“ — იხუმრა ფორვარდმა.

კარლოს ალბერტო პარეირამ გამოთლილი ვარსკლავები კოპა ამერიკაზე არ წაიყვანა და ეს ალექსისთვის თავის გამოჩენის შესანიშნავი შანსია.

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩებში მას მწვრთნელი კაკას შემცვლელად იყენებს, თუმც ამჯერად კაპიტნის სამკლავურის მიღებამ ალექსს საკუთარი თავის რწმენა შემატა.

„ამ შემთხვევაში პარეირა მენდო, რადგან მან უკვე კარგად იცის ჩემი შესაძლებლობები. მე ხომ ორი წელიწადი „კრუზეიროს“ ვკაპიტნობდი და ორჯერვე ჩემპიონები გავხდით“ — აღნიშნა ფეხბურთელმა.

ალექსის პირველი საკლუბო ჯილდო ლიბერტადორესის თასი იყო. მაშინ „პალმეირასის“ მოთამაშეს ვანდერლეი ლუქსემბურგო წვრთნიდა, რომელიც მოგვიანებით ბრაზილიის ნაკრების თავკაცი გახდა.

„ალექსოტანმა“ რამდენიმე წლის წინ ევროპას რონალდინიოსთან ერთად მიაშურა. რონალდინიო პსჟში გადავიდა, ხოლო ალექსის პარმაში ტრანსფერი ჩაიშალა. უკან დაბრუნებულმა „კრუზეიროს“ მიაშურა და წარმატებას იქ მიაღწია.

ახლა „ფენერბაჰჩეში“ მისი გადასვლა, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. თურქები ალექსისთვის „კრუზეიროს“ 7 თვე ევაჭრებოდნენ და საბოლოოდ მიაღწიეს მიზანს.

„მე ვესაუბრე პარეირას და მან მირჩია თურქეთში წასვლა. „ფენერბაჰჩე“ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებს და უკეთესად თავის გამოჩენის საშუალება მეძლევა“ — თქვა მძინარამ.

ვაჟა ხუციშვილი

რაიმონ დომენეკს საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა დააბალეს

ცხრას რომ რვა აკლდა

რატომ არ უნდა გვინდოდეს ნიკო?

დავუბრუნდეთ საფრანგეთის ნაკრების ახალი მწვრთნელის, რაიმონ დომენეკის დანიშვნის ამბავს. როგორც ადრეც მოგახსენეთ, 52 წლის სპეციალისტი 1993 წლის შემდეგ ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებს ედგა სათავეში, ორშაბათს კი საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა კლოდ სიმონემ „დიდი ლურჯების" შეფად დანიშნა. დომენეკმა თანამდებობა ჟაკ სანტინისგან გადაიბარა, რომელიც ლონდონს გაემგზავრა „ტოტენჰემ ჰოთსპურის" გასაძღოლად. მოგეხსენებათ, ბოლო ორ წელიწადში საფრანგეთის ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულიც დაკარგა და ევროპის ჩემპიონისაც

ახალ თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ რაიმონ დომენეკმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც თქვა, რომ:

„ჩვენი ამოცანა მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატზე მოხვედრა და, თუ შევძელით, იქ გამარჯვებაა, მაგრამ მხოლოდ ასეც არ არის. ჩვენ ვალდებულნი ვართ, საფრანგეთის ნაკრების გარშემო ის საგანგებო, სასიამოვნო ატმოსფერო შევქმნათ, რომლის წყალობითაც 1998 წელს მსოფლიოს, ხოლო 2000 წელს ევროპის ჩემპიონები გავხდით. საფრანგეთის ნაკრები ძველებურად ყველას ნაკრები უნდა გახდეს".

აღსანიშნავია, რომ თავის მხრივ, ფედერაციის პრეზიდენტმა, რომლისთვისაც „თუ შევძელით გამარჯვება", „სასიამოვნო ატმოსფერო" და „ყველას ნაკრები" საკმაოდ ბუნდოვანი ცნებებია (ყოველ შემთხვევაში, ამ კრიტერიუმების მიხედვით მას ხელფასის გადახდა გაუჭირდება), ძალიან კონკრეტული კუთხით შემოატრიალა ყველაფერი.

„ჩვენ დომენეკს მწვრთნელად ოთხი წლით ვნიშნავთ, ოღონდ ზუსტად ჩამოყალიბებული პირობებით. მან ორ წელიწადში საფრანგეთის ნაკრები 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე უნდა გაიყვანოს და იქ ნახევარფინალში მაინც უნდა ათამაშოს. თუ ეს შეძლო, კონტრაქტი კიდევ ორი წლით გაგრძელდება" — განაცხადა სიმონემ.

როგორც დომენეკმა ბრძანა, თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ მან კვირა საღამოს შეიტყო, სწორედ მაშინ, როდესაც ქალიშვილი შეეძინა და გადაწყვიტა, გოგონასთვის ვიქტორია დაერქმია.

„ბავშვი რომ შემეძინა ცხრას რვა წუთი აკლდა, საფრანგეთის ნაკრების მწვრთნელობა კი თორმეტის ნახევარზე მახარეს. ცხადია, ის, რაც მაშინ — ცხრას რვა წუთი რომ აკლდა — მოხდა, ჩემთვის გაცილებით მნიშვნელოვანი ამბავი გახლდათ" — გულწრფელად და გასაგებად აღიარა დომენეკმა.

„დომენეკის დასანიშნად ჩემი ერთ-ერთი მთავარი არგუმენტი ის გახლდათ, რომ იგი ნაკრების ყველა ფეხბურთელს იცნობს. გარდა ამისა, მას მხარი დაუჭირა ემე ჟაკემ, რომელიც, როგორც 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მწვრთნელი საფრანგეთის ნაკრების საქმეთა უბადლო ექსპერტი გახლდათ" — დასძინა სიმონემ.

ჩვენი მხრივ კი დავძენთ, რომ აქ, ძირითადად, ყველაფერი ჟაკეს შეხედულებამ გადაწყვიტა, თორემ ფეხბურთელებს დომენეკზე არანაკლებ, ბუნებრივია, ლორან ბლანიც იცნობდა — თანამდებობის ერთ-ერთი კანდიდატი, თავად მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ფეხბურთელი. და, რასაკვირველია, როგორც ბლანს, ასევე დომენეკს კარგად იცნობს ზემოხსენებული ჟაკე, ქვეყნის ნაკრებების მწვრთნელთა ხელმძღვანელი და კოორდინატორი, ბლანის ყოფილი მენტორი.

ასე და ამგვარად — ემე ჟაკეს მეცადინეობით — საფრანგეთში აღდგა ჟაკ სანტინის დანიშვნით დარღვეული ტრადიცია. მწვრთნელს მანამდე ნაკრების მწვრთნელთა საბჭოს რომელიმე წევრი ცვლიდა. მაგალითად, თავად ჟაკე როჟე ლემერმა შეცვალა და 2000 წელს ევროპის ჩემპიონის ტიტული მოიგო.

რაიმონ დომენეკის დებიუტი 18 აგვისტოს შედგება. ამ დღეს „ლურჯები" რენში ბოსნიას მასპინძლობენ, ხოლო 4 სექტემბერს უკვე მსოფლიოს 2006 წლის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩია „სტად დე ფრანსზე" ისრაელის წინააღმდეგ.

რა სიახლეებს უნდა ველოდოთ დომენეკისგან?



ნიკოლა ანელკა ნაკრებში ბრუნდება

აი, რას ამბობს თავად:

„რატომ უნდა უარვყო ნიკოს ნიჭი? ის ხომ ნაკრებში თამაშისთვის სრულიად დაოსტატებული თავდამსხმელია. ის თავის კლუბში ყოველდღე ამტკიცებს, რომ ეროვნულ გუნდში გამოძახებას იმსახურებს".

ალბათ, მიხვდით, რომ ლაპარაკია „მანჩესტერ სიტის" თავდამსხმელ ნიკოლა ანელკაზე, რომელსაც 2002 წლის აპრილის შემდეგ ფრანგთა ლურჯი ფორმა არ ჩაუცვამს. დომენეკის წინამორბედმა ჟაკ სანტინიმ ანელკა პრინციპულად არ მიიწვია ნაკრებში, რაზეც გაბრაზებულმა ფორვარდმა ერთხელ განაცხადა, დადგება დღე, როდესაც სანტინი მუხლებზე დამიჩოქებს და ისე შემევედრება გუნდში დაბრუნებასო. ამის მერე ანელკამ ბოდიში მოიხადა, მაგრამ არც მუქარამ უშველა და არც ბოდიშმა.

პაპუნა კედია

ემერსონი: გამოშვით „იუვენტუსში", თორემ ფეხბურთიდან წავალ

დავიღალე, რიოში მინდა!

თუ „რომა" „იუვენტუსში" არ გაუშვებს, ბრაზილიელმა ემერსონმა შეიძლება უცნაური რამ გადაწყვიტოს — ერთი წელიწადი ფეხბურთისგან სულაც დაისვენოს. ეს მოულოდნელი ამბავი ხალხმა ბრაზილიელი ფეხბურთელის ყოფილი ცოლისგან შეიტყო. ოდინდელმა სენიორა ემერსონმა „ტელელომბარდიას" განუცხადა:

„ჩვენ გაყრილები ვართ, მაგრამ ბავშვის გამო ხშირად ვურეკავთ ერთმანეთს და ამიტომ ვიცი, რომ ახლა ის ძალიან აღგზნებული და განერვიულებულია. მე მას ვკითხე, როგორ ართმევდა თავს „რომაში" შექმნილ ვითარებას, რაზეც მითხრა, ისეთ ჭკუაზე ვარ, მომდევნო წელიწადს ბრაზილიაში გავატარებო. ეს, როგორც ამიხსნა, იმ შემთხვევაში მოხდება, თუ რომაელები ტურინში არ გაუშვებენ".

ბრაზილიის ნაკრების ფეხბურთელს „რომასთან" კონტრაქტი 2005 წელს გაუდის, მაგრამ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ მას „იუვენტუსთან" უკვე აკავშირებს სიტყვიერი გარიგება. თუ ემერსონი ტურინში მაინც გადავა, მაშინ ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს, თუმც მისი ხელფასი ჯერ კიდევ დასადგენია.

გეხსომებათ, „რომა" „იუვენტუსს" ჯერ კიდევ ევაჭრება და ემერსონის ტრანსფერსაც სწორედ ეს უშლის ხელს.

პაპუნა კედია



აუქციონი

ბექემის აცილებული 9050 ევრო ღირს

ვინ ბაბოვა უფრო ძვრა ძეტს?



პორტუგალიასთან მატჩისას დევიდ ბექემმა პენალტი რომ გააფუჭა და ბურთი კარის მაგიერ ტრიბუნაზე მოისროლა, დარწმუნებული ვართ, არ დაგავიწყდებოდათ.

მერე კი აი, რა მოხდა: ტრიბუნაზე გასროლილი ბურთი მავანმა ესპანელმა ფანმა, პაბლო კარალმა დაიჭირა, ცხადია, სახლში წაიღო და ახლა ინტერნეტ-აუქციონზე ყიდის.

25 წლის ლაკორუნიელმა ბურთს საწყის საფად 1 ევრო დაადო, დღეისათვის კი ფასი 9050 ევრომდეა ასული. აუქციონი 22 ივლისამდე გაგრძელდება და იქამდე უეჭველია, ბურთს უფრო ძვირად მყიდველებიც გამოუჩნდებიან.

აუქციონში მონაწილეობის მიღება თქვენც შეგიძლიათ, ამ მისამართზე უნდა შეხვიდეთ: ***WWW.ES.EBAY.COM***

თუ არ დაიჭერ, მსაჯია

გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, სერია A-ს ორი მსაჯი რომ დაისაჯა. ახლა კი უფრო კონკრეტულად ვთქვათ

12 ეჰვმიტანილიდან ერთ-ერთი ლუკა პალანკაა

მარკო გაბრიელე და ლუკა პალანკა, რომელთაც ჯამში 46 შეხვედრა აქვთ უმაღლეს იტალიურ ლიგაში ნამსაჯი, დისკვალიფიცირებულნი გახლავან. ნეაპოლში ოფისდადებულმა პოლიციის საგანგებო, ანტიმაფიურმა განყოფილებამ მათ გარდა კიდევ თორმეტი ადამიანი დაასახელა. ამ ხალხს მატჩების შედეგებზე გავლენის მოხდენაში ედებათ ბრალი.

იტალიის მსაჯთა ასოციაციის პრეზიდენტმა ტულიო ლანეზემ განაცხადა: „ასეთი გამოძიებების დროს საქმიანობის გამაფრთხილებელი შეჩერება ჩვეულებრივი პროცედურაა. მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ თუ ადამიანის სახელი ძიებამ ამოატივტივა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ის დამნაშავეა. ნებისმიერი პიროვნების პასუხისმგებლობის დასამტკიცებლად ფაქტებია საჭირო და სწორედ ამიტომ გამოძიების დასრულებას უნდა დაველოდოთ“.

შეგახსენებთ, რომ ანტიმაფიურმა პოლიციამ საქმე მაისში დაიწყო. მისი რეიდები 14 კლუბს შეეხო. ესენი გახლდნენ სერია A-ს, სერია B-ს და სერია C1-ის კლუბები. მათ შორის ყველაზე ცნობილები იყვნენ გენუის „სამპდორია“, „ლეჩე“, „რეჯინა“ და „კიევო“.

მიმომხილველები ამბობენ, რომ ახლანდელმა გამოძიებამ შეიძლება ისეთივე სკანდალი გამოიწვიოს, როგორიც იტალიაში 1980-იანი წლების დასაწყისში აგორდა. ვისაც არ გახსოვთ, შეგახსენებთ: მაშინ იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი „მილანი“ ტოტალიზატორებთან ბინძურ გარიგებაში ამხილეს და სერია B-ში გადაისროლეს.

პაპუნა კედია



ვერა ვიეირა

ლონდონის „არსენალის“ თამეჯდომარემ პიტერ ჰილ-ვუდმა მადრიდის „რეალის“ ბოლო ინიციატივას მტკივნეული რეაქციით უპასუხა. მოგეხსენებათ, „რეალის“ ხელახლა არჩეულმა პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, ლონდონელებისგან ფრანგი ნახევარმცველი პატრიკ ვიეირა წაიყვანოს.

ადრეც ვთქვით და გავიმეორებთ, ვიეირას ყიდვა მადრიდელებს დიდი ხანია, სურთ და პერიოდულად აგორებენ ხოლმე მისი შეძენის თემას, მაგრამ...

„მადრიდელები ვიეირას შესახებ ძალიან ხშირად ლაპარაკობენ და ეს უკვე გამაღიზიანებელია — განაცხადა ჰილ-ვუდმა — ჩვენ ვერაფერს ვაწყობთ, მხოლოდ ზევიდან შეგვიძლია ამ ყველაფერს შევხედოთ. არანაირი სურვილი პატრიკის გაყიდვისა არ გვაქვს. მას „არსენალთან“ კონტრაქტი აკავშირებს და ჩვენ ამით ბედნიერები ვართ“.

პაპუნა კედია

რატომ მოსწონს ჟოზეს დიდია?

ჟოზე მაურინიუ „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდიე დროგბას ელის

ჟოზე მაურინიუმ განმარტა, თუ რატომ სურს თავდამსხმელ დიდიე დროგბას შეძენა. შეგახსენებთ: პორტუგალიელი მაურინიუ ლონდონის „ჩელსის“ ახალი თავკაცია, ხოლო დროგბა კოტდივუარელი ფეხბურთელი „მარსელიდან“. მიზეზი კი ის ყოფილა, რომ დროგბა მაურინიუს „არსენალის“ ფრანგ თავდამსხმელ ტიერი ანრის აგონებს

შეგახსენებთ იმასაც, რომ დროგბას ლონდონში გადასვლა-არგადასვლის საქმე პირდაპირ გახლავთ დამოკიდებული „ჩელსიდან“ „მილანში“ არგენტინელი ერნან კრესპოს წასვლა-არწასვლაზე. თუ, როგორც მოსალოდნელია, კრესპო „სტემფორდ ბრიჯიდან“ „სან სიროზე“ გადავა, მაშინ ლონდონელი ფეხბურთელებით მოვაჭრენი მარსელელებს მიადგებიან და თავიანთ სავაჭრო ილეთებს ჩაუტარებენ.

„მერე ყველაფერი „მარსელზე“ იქნება დამოკიდებული — განაცხადა მაურინიუმ — თუმცა დროგბა ის ფეხბურთელია, რომელიც მე ძალიან მომწონს. ის შეიძლება ყველაზე ახლოსაც იდგეს ტიერი ანრისთან. ტიერის უკვე დამტკიცებული აქვს, რომ არაჩვეულებრივი ფეხბურთელია, მისებრი ინგლისში არავინაა, გოლებიც ყველაზე მეტი გააქვს.

რაც შეეხება დროგბას, ის საფრანგეთში და აფრიკაშია ცნობილი, ამის გარეთ კი მაინცდამაინც არ იცნობენ, მაგრამ მე მის დადებით თვისებებს ვხედავ: ძალ-ღონეს, სისწრაფეს, ბურთის მიმართულებით თამაშს, ბურთის მიღებისთანავე კარისკენ გახედვას, მისი ორთაბრძოლის სტილს და გუნდისთვის თავდადებას. ის ტიპიური, კარზე დაგეშილი თავდამხსმელია და არც დაცვა ესწავლება. ვფიქრობ, მისი თვისებების ფეხბურთელს ინგლისში წარმატების მიღწევა შეუძლია.

ჩემთვის სრულიად გასაგებია, რომ „მარსელს“ მისი გაყიდვა არ ენდომება და მათ ეს უკვე გამოაცხადეს, მაგრამ ჩვენ ჯერ ნაბიჯი არ გადაგვიდგამს“.

პაპუნა კედია

დეპარტამენტმა კეჟმანი ჩელსიში დაასაქმა



სერბი თავდამსხმელი მატეა კეჟმანი გუშინ ოფიციალურად გახდა ლონდონის „ჩელსის“ ფეხბურთელი. მხარეები აქამდე ბრიტანეთის დასაქმების დეპარტამენტის გადაწყვეტილებას ელოდნენ, რომელმაც 13 ივლისს სერბს პრემიერლიგაში თამაშის ნება დართო. ბუნებრივია, 25 წლის ფორვარდი ამან ძალიან გაახარა და მომავალ სეზონზეც აალაპარაკა.

„ლონდონში გადმოსვლით ძალიან კმაყოფილი ვარ. „ჩელსი“ დიდი ისტორიის მქონე ბრწყინვალე კლუბია, რომელსაც შეკრული და ძლიერი გუნდი ჰყავს. პსგ-ში შედეგიანობის რეკორდი დავამყარე და დიდი იმედი მაქვს, „არისტოკრატებსაც“ მოვერგები. უბრალოდ, ამას ცოტა დრო და მცირე იღბალი სჭირდება“ — თქვა კეჟმანმა.

„ჩელსის“ ახალი თავკაცი ჟოზე მაურინიუ სერბს კარგი თვალით უყურებს და დიდ შანსია, მას ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად მიუჩინოს ადგილი. ლონდონელთა რიგებში კიდევ სამი ფორვარდია — ისლანდიელი ეიდურ გუდიონსენი, რუმინელი ადრიან მუტუ და არგენტინელი ერნან კრესპო. თუ ეს უკანასკნელი „მილანში“ გადავა, „სტემფორდ ბრიჯზე“ დიდიე დროგბა დაიდებს ბინას.

ასეა თუ ისე, 25 წლის სერბს „ჩელსის“ ძირითადი ფორვარდობის ქცევის კარგი შანსი აქვს. მაურინიუ აქამდე გუდიონსენზე აკეთებდა აქცენტს და ისლანდიელს განსაკუთრებულადაც ავარჯიშებდა. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ კრესპოს ბედი ჯერაც გაურკვეველია, ხოლო მუტუს არცთუ წარმატებული სეზონი ჰქონდა. პორტუგალიელი ტაქტიკოსის კეჟმანისადმი სიმპათიაზე მისი კომენტარიც მეტყველებს:

„მე მომწონს კეჟმანი, რადგანაც იგი ვარსკვლავობით ჯერ არ გაფუჭებულა. თუმცა უკვე ზოგიერთ ცნობილ ფორვარდზე გაცილებით მეტი გაიტანა. იგი მუშა ფეხბურთელია და გუნდისთვის დიდი სარგებლის მოტანა შეუძლია“.

ბოლოს კი გეტყვით, რომ „ჩელსიმ“ კეჟმანში ჰოლანდიურ „პსვ ეინდჰოვენს“ 8 მილიონი ევრო გადაუხადა. „არისტოკრატებმა“ სერბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

გიორგი კაკაბაძე

მადრიდის „რეალის“ მოუღლელმა მცველმა რობერტო კარლოსმა გუნდთან კონტრაქტი 2008 წლამდე გააგრძელა. ეს კი ფლორენტინო პერესის ხელმეორედ გაპრეზიდენტების შემდეგ მოხდა.

„რეალმა“ ახალი სეზონისთვის მზადება უკვე დაიწყო, ბრაზილიელს ნავარჯიშევს გაზეთ „ასის“ ჟურნალისტი ესაუბრა

აქას ვაქბობ ქე!

რობერტო კარლოსი კამაჩოს მიესიყვარულა

— ფლორენტინო პერესი კვლავაც „რეალის“ პრეზიდენტია, კმაყოფილი ხართ?

— ცხადია, არჩევნებში გამარჯვებას გულით ვულოცავ. სინიორ პერესმა დამსახურებულად მოიგო, ეს იმას ნიშნავს, რომ „რეალის“ ქომაგები მას უდიდეს პატივს სცემენ.

— კონტრაქტი 2008 წლამდე გააახლეთ, დამშვიდდით?

— დიახ, თუმცა ზედმეტად აღელვებული ამ საქმის გამო არც არასდროს ვყოფილვარ. „რეალი“ ჩემი ცხოვრების ნაწილია, ესპანეთი მეორე სამშობლო. ხალხისგან დიდ სიყვარულს და სითბოს ვგრძნობ და აქედან წასვლაზე არც მიფიქრია. კარიერის დასრულების შემდეგაც მადრიდში ცხოვრება მსურს.

— ახალ მწვრთნელ ხოსე ანტონიო კამაჩოს უკვე შეხვდით...

— მასთან ბრაზილიაში დასასვენებლად წასვლამდეც ვისაუბრე. მივედი და ჩემს კონტრაქტზე ვესაუბრე. ძალიან ყურადღებით მომისმინა, გამიგო და, ვფიქრობ, ჩემი ისევ სჯერა. ყველაფერს გავაკეთებ, რათა მისი ნდობა გავამართლო.

— ფიქრობთ, რომ „რეალი“ გადახალისებას საჭიროებს?

— მგონი, არა. ჩინებული მეკარე, ნახევარმცველები და თავდამსხმელები გვყავს. რაც შეეხებათ მცველებს, ვალტერ სამუელის გუნდში მოსვლით, ცხადია, კმაყოფილნი ვართ. სამუელი ძალიან ძლიერია პოზიციური თამაშისას. ვიცი, რომ კლუბის უფროსობა მის გარდა სხვა უკანახაზელის შეძენასაც გეგმავს. ერთი სიტყვით, „რეალი“, როგორც ყოველთვის, 2004-05 წლების სეზონშიც ძლიერი იქნება.

— სათადარიგოები? ექნებათ თავის გამოჩენის საშუალება?

— პრიმერადივზიონი, ჩემპიონთა ლიგა და კოპა დელ რეი. ამ სამ ტურნირში მოგვიწევს ჩაბმა და, ბუნებრივია, მთელი სეზონის მანძილზე ერთი შემადგენლობით ვერ ვითამაშებთ. მაგალითი? ბოლო სეზონი ავიღოთ, მოედანზე მუდმივად გვიწევდა გასვლა, დაღლილგასავათებულნი ვიყავით და ხეირიანად გადაადგილებაც არ შეგვეძლო. შედეგად, ვერც ვერაფერი მოვიგეთ. ვფიქრობ, კამაჩო სათადარიგოებს ჭკვიანურად ჩართავს საქმეში და ის ბიჭებიც, ვისაც ნაკლებად უწევთ მოედანზე გასვლა, დაკისრებულ მოვალეობას სრული პასუხიმგებლობით გაართმევენ თავს.

— ყველა მწვრთნელს თამაშის მოგების თავისებური ხერხი აქვს. კამაჩოსეულზე თუ იცით რამე?

— ერთს ვეტყვით, კამაჩო ძლიერია და არა მხოლოდ იმიტომ, რომ მებრძოლი ხასიათი აქვს. მადრიდის „რეალს“ კარგად იცნობს, რაც მთავარია, ფეხბურთი ზედმიწევნით იცის და იმედი მაქვს, წლევანდელი სეზონი შარშანდელზე უკეთესი გვექნება.

— ახლა მარადიულ მეტოქე „ბარსელონაზეც“ ვთქვათ. სერიოზული ტრანსფერები გაჩარხა...

— ტრანსფერები მართლაც დიდებულია — ჟიული, ლარსონი, დეკო ბრწყინვალე ფეხბურთელები არიან, თუმცა კლუბში ოსტატი ფეხბურთელების მიყვანა ერთია, ხოლო მათი გამოყენება მეორე... „ბარსას“ ახლა ყველაზე მეტად სწორედ ესპანეთის ჩემპიონობა სჭირდება.

— ჩემპიონობასა და ტიტულებს მადრიდული ინჩადა თქვენს გუნდსაც სთხოვს...

— შეუძლიათ, მშვიდად იყვნენ, ჯილდოებს მოვიგებთ. ამას ვამბობ მე, რობერტო კარლოსი.

მოსკოვს უცხოელების არ სჯერა

გჟებიკი და ჟორჟე რუსეთიდან ბიბარონენ





მოსკოვის „დინამოს“ ჩეხი მწვრთნელი იაროსლავ გჟებიკი და ცსკა-ს პორტუგალიელი თავკაცი არტურ ჟორჟე სამსახურიდან დაითხოვეს.

ჩეხმა გუნდი წელიწადნახევრის წინ ჩაიბარა. შარშან „დინამო“ მეექვსე ადგილზე გაიყვანა, მაგრამ ამ სეზონში საქმეები უკან-უკან წაუვიდა. დედაქალაქის ერთ-ერთი სახელოვანი კლუბი ცხრილის ქვედა ნაწილში გაიჩხირა.

ზედიზედ ოთხი მარცხის შემდეგ დინამოელთა ბოსებმა იაროსლავ გჟებიკის მოხსნა გადაწყვიტეს და ჩანაფიქრი აასრულეს კიდეც. ჩეხის ადგილი ვიქტორ ბონდარენკომ დაიკავა, რომელმაც განაცხადა: „მძიმე ამოცანის წინაშე ვარ. გუნდი კრიზისიდან უნდა გამოვიყვანო. ბოლო ხუთ ტურში „დინამომ“ ოთხჯერ წააგო. ასე გაგრძელება არ შეიძლებოდა. ახალი ფეხბურთელების მოყვანას ჯერჯერობით არ ვაპირებ. ალბათ, სათამაშო ტაქტიკას შევცვლი. განსაკუთრებით ნახევარდაცვაში გვიჭირს და ამ რგოლის გაძლიერება აუცილებლად გვმართებს“.

რაც შეეხება ცსკა-ს, არტურ ჟორჟეს ნახევარი სეზონი აცალეს რუსეთის ჩემპიონთან მუშაობა. შარშან ამ დროს ცსკა ცხრილში პირველ ადგილზე იყო, ახლა კი სამეულშიც არაა.

კლუბის დირექტორთა საბჭოს სხდომა გუშინ გაიმართა და პორტუგალიელი უსაქმოდ დატოვეს. არმიელთა პრეზიდენტმა ევგენი გინერმა თქვა: „მწვრთნელი ვალერი გაზაევი იქნება. ის აქედან არსად წასულა და ტრანსფერების მოგვარებაში გვეხმარებოდა. გაზაევის კონტრაქტი სამწლიანია“.

ვაჟა ხუციშვილი

ჰოლანდია მფრინავ ჰოლანდიელთან ჩაფრინდა

ვინ? ვან ბასტენი?!



უთავო ჰალანდიის ნაკრები შესაძლოა, ლეგენდარულმა მარკო ვან ბასტენმა და ჯონ ვანტ სხიპმა ჩაიბარონ.

ჰოლანდიურ გაზეთ „ალგემეენ დაგბლადის“ ცნობით, ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის ჩინოსნები ბარსელონაში იოჰან კრუიფთან რჩევისთვის ჩასულან.

ერთ-ერთმა ჩინოსანმა დაადასტურა, რომ ფედერაციის მენეჯერი ჰენკ კესლერი და რამდენიმე სხვაც გუშინწინ კრუიფს შეხვდნენ, მაგრამ „ნარინჯისფერთა“ სავარაუდო ახალი მწვრთნელის სახელი არ გაამხილა.

„ალგემეენ დაგბლადის“ ცნობით, დიკ ადვოკაატის შემცვლელი მარკო ვან ბასტენი იქნება, რომელსაც მეგობრებთან საუბარში უთქვამს, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიხარია, ჩემს კანდიდატურას რომ განიხილავენო. თუ ვან ბასტენი ნაკრების მწვრთნელად დანიშნეს, მისი თანაშემწე, სავარაუდოდ, ჯონ ვანტ სხიპი გახდება, რადგან ორივე ერთად მუშაობს ამსტერდამის „აიაქსში“.

ვაჟა ხუციშვილი

კარეუ გაათურქეს

ესპანეთის ჩემპიონ „ვალენსიაში“ განაცხადეს, რომ ნორვეგიელ ფორვარდს იონ კარეუს თურქულ „ბეშიქთაშში“ ყიდიან და რომ პირობები უკვე შეთანხმებულია.

ვალენსიელებს ტრანსფერის დეტალები არ გაუმხელიათ, თუმცა როგორც ესპანურმა მედიამ გამოჩხრიკა, კარეუ თურქეთში სამი წლით მიდის, სადაც მისი მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე იქნება.

კარეუ „ვალენსიაში“ 2000 წელს გადავიდა ტრონდჰეიმის „რუსენბორგიდან“ 8 მილიონ დოლარად და სამ სეზონში 20 გოლი გაიტანა. წინა სეზონი კი ივჯარით იტალიურ „რომაში“ გაატარა.

„რომადან“ დაბრუნებულს „ვალენსიაში“ ახალი მწვრთნელი, კლაუდიო რანიერი დახვდა, რომლის სქემაშიც ნორვეგიელი ფორვარდი თურმე არ ჯდებოდა.

„ბეშიქთაშის“ გარდა კარეუს ყიდვა ინგლისური პრემიერლიგის ახალწვეულს „ვესტ ბრომვიჩ ალბიონსაც“ სურდა.

ირაკლი ნინიძე



ლუიშ ფელიპე სკოლარი

ვიცე-ჩემპიონი საუკეთესოს ნიშნავს

ევროპის ჩემპიონატის მსვლელობისას თექვსმეტი ნაკრების მწვრთნელი დიდ ოფლის ღვრაში იყო, ახლა კი შვებულების დრო დაუდგათ.

შვებულებაში ზოგი კმაყოფილი წავიდა, ზოგი — არც ისე. როგორ ხასიათზე მყოფი დაისვენებს პორტუგალიის ნაკრების მწვრთნელი ლუიშ ფელიპე სკოლარი, ამ ინტერვიუში წაიკითხეთ

მოსწავლე და მასწავლებელი: კრისტიანო რონალდოს ლუიშ ფელიპე სკოლარი პორტუგალიის ლიდერობას უწინასწარმეტყველებს

— საშინაო ევროპის ჩემპიონატზე მეორე ადგილის დაკავებას წარმატებად აფასებთ?

— იმით ვარ კმაყოფილი, რომ დანაპირები შევასრულე. ჩემი დაპირება, სულ ცოტა, ნახევარფინალში გასვლა იყო, ნაკრები კი ფინალშიც გავიდა. ამასთანავე, არ შემიძლია, ერთხელაც არ გადავუხადო მადლობა გულშემატკივრებს, რომელთაგანაც სრულიად ფანტასტიკურ მხარდაჭერას ვგრძნობდით. ძალიან მინდოდა, რომ ჩემპიონატის დღეებში მთელი პორტუგალია ეროვნული დროშის ფერებში შეღებილიყო და ასეც იყო. ერთმა გულშემატკივარმა ისიც მომწერა, ჩემს სახლზე 48 ეროვნული დროშა აღვმართეო. თუმცა, ამავე დროს ფინალში დამარცხებით ბედნიერი, ცხადია, ვერ ვიქნები. ჩემს წარმოდგენაში ვიცე-ჩემპიონი დამარცხებულთა შორის საუკეთესოს ნიშნავს და ეს მე ხელ არ მაძლევს.

— ეგებ იმიტომაც, რომ ჩემპიონი გახდა გუნდი, რომელსაც ვარსკვლავები არ ჰყავს და უსახურ ფეხბურთს თამაშობს?

— არ აქვს მნიშვნელობა, როგორ ფეხბურთს თამაშობენ ბერძნები, ისინი დამსახურებულად გახდნენ ჩემპიონები.

— ვარსკვლავებით გადაჭედილი პორტუგალია საბერძნეთმა როგორ დაამარცხა?

— ვვარაუდობდი, რომ მატჩის ბედი შესაძლოა, ერთადერთ დარტყმას, სტანდარტული სიტუაციის ერთადერთ გათამაშებას გადაეწყვიტა და, სამწუხაროდ, ასეც მოხდა.

— თქვენ პრობლემები ჯგუფურ ეტაპზეც გქონდათ. რუსებთან, მიუხედავად იმისა, რომ მეორე ტაიმში ათი ფეხბურთელით გეთამაშებოდნენ, საკმაოდ გაგიჭირდათ...

— საქმე ისაა, რომ იმ მატჩში ვცდილობდით, რუსებისთვის შეტევის ყოველგვარი შანსი მოგვესპო და იმის მაგივრად, რომ მოედნის მთელ სიგანეზე მშვიდად გვეგორებინა ბურთი, ყველაფერს ძალიან სწრაფ ტემპში ვაკეთებდით, რისი აუცილებლობაც, ვაღიარებ, არ იყო. იმ დროსთვის ცხადი იყო, რომ რუსებისთვის ოცი გოლიც რომ ვაგვეტანა, გადამწყვეტი მაინც ესპანეთის დამარცხება იქნებოდა. თუმცა, ამავე დროს რუსეთის დამარცხება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იყო.

— ესპანეთთან მატჩის წინ ისეც უკიდურესად დაძაბული ვითარება თქვენ კიდევ უფრო გაამწვავეთ, როცა ესპანური რადიოს პირდაპირ ეთერში განაცხადეთ, პორტუგალია და ესპანეთი საომარ მდგომარეობაში იმყოფებიანო...

— სიმართლე გითხრათ, არც ვიცოდი, ჩემი ლაპარაკი პირდაპირ ეთერში თუ გადაიცემოდა. ესპანელმა ჟურნალისტმა მობილურზე დამირეკა და ინტერვიუ მთხოვა. უარი ვუთხარი, რაც იმით დავასაბუთე, ხვალ ომი გველის და ომის წინ მეტოქესთან მოლაპარაკებას არ აწარმოებენ-მეთქი. თურმე ეს პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა. ბრაზილიაში ფეხბურთის მატჩებს, ჩვეულებრივ, ომად მოიხსენიებთ-ხოლმე და ეს არავის უკვირს. საერთოდ კი, დიდი უწესობაა, კერძო სატელეფონო საუბრის რადიოში გადაცემა.

— ინგლისთან მატჩისას არ გაგაკვირვათ იმ შემართებამ, რითაც მეკარე რიკარდუმ გადამწყვეტი პენალტის დარტყმა ითავა?

— „სპორტინგში" პენალტებს რიკარდუ ურტყამს და ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, ვერ გაეტანოს.

— ინგლისთან გამარჯვების მერე თქვენს ოპონენტებს გაჩუმება მოუხდათ...

— მას მერე, რაც პორტუგალია ნახევარფინალში გავიდა, უამრავი კლუბისგან და ნაკრებისგან მივიღე შეთავაზებები, მაგრამ ყველა წინადადება უარვყავი. იქამდე სად იყვნენ? თუ კარგი მწვრთნელი მხოლოდ ნახევარფინალში გასვლის მერე გავხდი?! პორტუგალია ჯგუფში რომ ჩარჩენილიყო, ყველაფერი მე დამბრალდებოდა, ხოლო ჩემპიონები რომ გავმხდარიყავით, გამარჯვების მხოლოდ თანამონაწილე ვიქნებოდი. რა ვუყოთ, ასეთ დამოკიდებულებას დიდი ხანია, შეგუებული ვარ.

— ძალიან კარგია, რომ გადაწყვეტილების მიღებისას არ მერყეობთ, მაგრამ თქვენი გადაწყვეტილებები ზოგჯერ გაუგებარი რჩება. მაგალითად, თქვენ ბოლომდე ენდეთ პაულეტას, რომელმაც ვერაფერი გააკეთა, ნუნუ გომეში კი სათადარიგოთა სკამზე გეჯდათ...

— მე ვენდობოდი პაულეტას, რადგან ვიცოდი: თუნდაც ვერ გაეტანა, მოედანზე მაინც უზარმაზარ სამუშაოს შეასრულებდა. ხოლო ის, რომ მან ერთი გოლიც ვერ გაიტანა, თავდამსხმელისთვის, რა თქმა უნდა, კატასტროფული შედეგია.

— როგორ ფიქრობთ, თქვენი გუნდიდან რომელმა ფეხბურთელებმა ითამაშეს თავიანთ შესაძლებლობებზე ცუდად?

— ნებისმიერს შეიძლება ჰქონდეს ცუდი დღე, მაგრამ მთლიანობაში იმედი არავის გაუცრუებია. საერთოდაც, გუნდს მე ვკრებ, ტაქტიკას მე განვსაზღვრავ და სასტარტო შემადგენლობასაც მე ვაყენებ. შესაბამისად, პასუხისმგებლობასაც ჩემს თავზე ვიღებ. ხოლო თამაშის მსვლელობისას ფეხბურთელს რომ ვცვლი, ეს არ ნიშნავს, თითქოს მას არ ვენდობი და ცუდად თამაშობს. უბრალოდ, ვთვლი, რომ კონკრეტულ სათამაშო სიტუაციაში შესაძლოა, შემადგენლობაში ცვლილება იყოს საჭირო.

— როცა ინგლისთან ფიგუ შეცვალეთ, არც მაშინ თვლიდით, რომ ის ცუდად თამაშობდა? და საერთოდ, რა მოხდა მაშინ?

— გამუდმებით მეკითხებიან, ფიგუს შეცვლა თქვენ შორის კონფლიქტს ხომ არ მოასწავებსო. გემუდარებით, დაივიწყეთ ეს ეპიზოდი. ის ჩვეულებრივი სათამაშო, სამუშაო ეპიზოდი იყო, როცა კრისტიანო რონალდო პენალტის დასარტყმელად მოემზადა, ლუიშს ჩუმად უთქვამს, მიდი, შენ გვერდით ვარო. კიდევ ვიტყვი, რომ აღფრთოვანებული ვარ ფიგუთი, როგორც ფეხბურთელით და როგორც პიროვნებით.

— როგორ ფიქრობთ, კრისტიანო რონალდო შეძლებს, ფიგუს ღირსეული მემკვიდრე გახდეს?

— ერთხელ მოვისმინე, როგორ იძლეოდა რონალდო ინტერვიუს და მასში 19 წლის ბიჭი კი არა, გამოცდილი ვეტერანი დავინახე. „მანჩესტერ იუნაიტედში" გატარებული ერთი სეზონის და ნაკრებში გატარებული ერთი თვის განმავლობაში მისი პროგრესი აშკარაა. თუ ასე გააგრძელებს, რამდენიმე წელიწადში ნაკრების ლიდერობასაც შეძლებს.

— ნაკრების ვეტერან ფეხბურთელთა დიდი ნაწილი ხომ წასვლაზე ფიქრობს...

— ამ თემაზე პირადად არავისთან მილაპარაკია, ამიტომ რუი კოშტას განცხადება ნაკრებიდან წასვლის თაობაზე ჩემთვის მოულოდნელი იყო. ვფიქრობ და მისი გადაწყვეტილებისთვის ახსნა ვერ მოიძებნია. ამიტომ მას ამ საკითხზე დაველაპარაკები.

არგენტინული „რივერ პლეიტის" ფორვარდი ფერნანდო კავენაგი უახლოეს დღეებში მოსკოვის „სპარტაკის" ფეხბურთელი გახდება. წესით, იგი ცსკა-ში უნდა გადაბარგებულიყო, მაგრამ არმიელებმა მოულოდნელად მოლაპარაკებები შეწყვიტეს. „სპარტაკი" კი „რივერ პლეიტისა" და პირადად კავენაგის ყველა მოთხოვნას დაჰყაბულდა. ფეხბურთელი პირველი ოთხი სეზონის მანძილზე წელიწადში 2 მილიონ დოლარს მიიღებს. კონტრაქტი კი ხუთწლიანია, „სპარტაკს" ტრანსფერი 11,5 მილიონი დოლარი დაუჯდება.

ესპანეთის პრიმერადივიზიონში დაბრუნებული „ლევანტე" სერიოზულ სატრანსფერო პოლიტიკას აწარმოებს. ცოტა ხნის წინ „მალაგასგან" 19 წლის შემტევი ნახევარმცველი ნაჩო პერესი შეიძინა. სხვა ფეხბურთელების გარდა, ესპანელები ცდილობენ, ევრო 2004-ის ორი გამორჩეული მოთამაშე, თეოდოროს ზაგორაკისი და კარელ პობორსკი გადაიბირონ. თუმცა ბერძენსა და ჩეხს კიდევ ბევრი მსურველი ჰყავთ.

ბრაზილიელი მცველი სილვინიო გუშინ კატალონიაში ჩაფრინდა და „ბარსელონასთან" სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი. „კორინთიანსის", ლონდონის „არსენალისა" და ვიგოს „სელტას" ყოფილ მცველში კატალონიელებმა 600 ათასი ევრო გადაიხადეს. 30 წლის სილვინიო გუნდში რონალდინიოს, ტიაგო მოტას და ჟულიანო ბელეტის შემდეგ მეოთხე ბრაზილიელია.

ინგლისური „ლიდსი" ფინანსურმა დირექტორმა დევიდ რიჩმონდმაც დატოვა. როგორც იორკშირელთა მმართველი ჯერალდ კრასნერი ამბობს, ეს მისი პირადი გადაწყვეტილებაა და არავითარ უთანხმოებას ადგილი არ აქვს. „მისი წასვლა დიდი და უსიამოვნო სიურპრიზია. იგი ფეხბურთელებთან ბრწყინვალედ მუშაობდა და ერთ-ერთი მათგანია, ვინც „ლიდსი" გაკოტრებას გადაარჩინა. ძალიან ვწუხვარ, მის გარეშე სერიოზული პრობლემები შეგვექმნება, მაგრამ დევიდს წარმატებას ვუსურვებთ" — განაცხადა კრასნერმა.

კოლუმბიური „ონსე კალდასის"თავდამსხმელი ხორხე აგუდელო კოკაინის მოხმარებაში ამხილეს და ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს. მას ქვეყნის კანონების მიხედვითაც დასჯიან. „ონსე კალდასი" კი იცით, ლიბერტადორესის თასის წლევანდელი მფლობელია.

ბელარუსული „ტორპედოს" 42 წლის თავკაცი იაკოვ შარიპო გულის შეტევით გარდაიცვალა. ქვედალიგელმა ჟოდინოს „ტორპედომ" გროდნოს „ნემანთან" გამარჯვებით უმაღლეს ლიგაში გადასვლა გაინაღდა, მაგრამ მატჩის ერთადერთი და ჟოდინოელთათვის სანუკვარი გოლი მატჩის ბოლო წუთზე გავიდა. შარიპოს სიხარულისგან მოედანზევე გული ცუდად გაუხდა. მართალია, იგი საავადმყოფოში გამოჯანმრთელდა, მაგრამ ახალგაზრდა მწვრთნელს მეორე დღეს შეტევა გაუმეორდა, რაც მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა.

პორტუგალიური „პორტუს" პრეზიდენტმა ნუნუ პინტუ და კოშტამ თქვა, რიკარდუ კარვალიუსა და მანიშე რიბეირუს გაყიდვას არ ვაპირებო. „მადრიდის „რეალისგან" არანაირ წინადადებას არ ველი, რადგანაც გასარჩევი არაფერია. ჩვენ სატრანსფერო ბაზარზე უკვე დავასრულეთ მუშაობა" — განაცხადა „პორტუს" პრეზიდენტმა.

მაროკოელი ტალალ ერ კარკური მომავალ სამ სეზონს ლონდონურ „ჩარლტონში" გაატარებს. ინგლისურმა კლუბმა 27 წლის მცველში 1 მილიონი გირვანქა გადაუხადა ფრანგულ პსჟ-ს. „რაჯა კასაბლანკას" ყოფილ ფეხბურთელს პრემიერლიგაში უკვე ნათამაშები აქვს. 2002-03 წლების სეზონში იგი „სანდერლენდში" იყო განათხოვრებული.

ინგლისურმა „მანჩესტერ სიტიმ" მარჯვენა მცველი დენი მილსი გადაიბირა. მილსი აქამდე „ლიდსის" საკუთრება იყო, შარშანდელი სეზონი კი იჯარით „მიდლსბროში" გაატარა. იცით, „ლიდსი" პრემიერლიგიდან გავარდა, მილსმაც პირველ დივიზიონში ბურთაობა არ ისურვა და იორკშირელებთან კონტრაქტიც ამად გაწყვიტა. „მანჩესტერ სიტიმ" და ფეხბურთელმა ხელშეკრულებას 2008 წლამდე მოაწერეს ხელი.

ხორვატიის ეროვნული გუნდის მწვრთნელად ზლატკო კრანიჩარი დაინიშნა, მან პოსტზე ოტო ბარიჩი შეცვალა. 47 წლის კრანიჩარმა ზაგრების „დინამოს" ორჯერ ქვეყნის ჩემპიონობა, ხოლო „ფკ ზაგრებს" თასი მოაგებინა. ახალდანიშნული მწვრთნელი ხორვატიის ნაკრებს 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოამზადებს.

გერმანული „ვერდერის" ხელმძღვანელობამ კატეგორიულად განაცხადა, ჩვენს ბერძენ ლეგიონერ ანგელოს ხარისტიასს არ ვყიდითო. „წინადადებები მრავლად გვაქვს,თუმც არც ერთს ყურადღებას არ ვაქცევთ. ხარისტიასი ჩვენ გვჭირდება და რამდენადაც ვიცი, გუნდიდან წასვლის სურვილი არც ანგელოსს აქვს" — თქვა „ვერდერის" პრესატაშე ტიმო ჰოლსტერმა.

სარბიელი: კროკი

წარმოგიდგენთ

სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

ავსტრია. ბუნდესლიგა. I ტური
14 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30	176	აუსტრია-ადმირა	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
21.30	177	ბრეგენცი-რაპიდი	2,6	3,2	2,4	1,43	1,24	1,37
21.30	178	ზალცბურგი-პაშინგი	2,3	3,2	2,8	1,33	1,26	1,49
21.30	179	შტურმი-მატერსბურგი	1,75	3,3	4,2	1,14	1,23	1,84

შვეიცარია. სუპერლიგა. I ტური
17 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.30	182	შაფჰაუზენი-ქსამაქსი	2,15	3,1	3,2	1,26	1,28	1,57
21.30	183	სტ.გალენი-იანგ ბოიზი	2,45	3,1	2,6	1,36	1,26	1,41
21.30	184	გრასჰოპერი-ციურიხი	2,0	3,2	3,4	1,23	1,25	1,64
21.30	185	თუნი-სერვეტი	2,3	3,1	2,9	1,32	1,28	1,49
21.30	186	ბაზელი-აარაუ	1,25	5,0	9,0	1	1,09	3,21

შვედეთი. ალსვენსკა. XI ტური
14 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
22.00	189	იურგორდენი-მალმიო	2,15	3,2	3,1	1,28	1,26	1,57

შვედეთი. ალსვენსკა. XII ტური
15 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
21.00	190	აიკ-გიოტებორგი	2,45	3,1	2,6	1,36	1,26	1,41

შვედეთი. სუპერეტა. XIV ტური
18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	198	ვესტეროსი-ბოდენსი	1,85	3,4	3,4	1,19	1,19	1,7
20.00	199	ფალკენბერგი-ატვიდაბერგი	2,8	3,2	2,25	1,49	1,24	1,32
20.00	200	ვაის-გეფლე	1,95	3,3	3,3	1,22	1,22	1,65
20.00	201	იოსტერსი-ენჩიოპინგი	1,65	3,5	4,4	1,12	1,2	1,94

ნორვეგია. I დივიზიონი. XVII ტური
18 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
20.00	203	ალესუნდი-სკეიდი	1,4	4,0	6,5	1,03	1,15	2,47
20.00	204	ბრინი-ჰიოდი	1,55	4,0	4,6	1,11	1,15	2,13
20.00	205	ჰიონეფოსი-პორს გრენლანდი	1,65	3,8	4,0	1,15	1,16	1,94
20.00	206	კონგსვინგერი-სტრიომსგოდსეტი	2,4	3,6	2,3	1,44	1,17	1,4
20.00	207	მოსი-ჰაუგესუნდი	1,75	3,8	3,4	1,19	1,15	1,79
20.00	208	სანდეფიორდი-ტრომსდალენი	1,15	6,0	10,0	1	1,03	3,75
20.00	209	ვარდ ჰაუგესუნდი-რაუფოსი	2,35	3,6	2,35	1,42	1,17	1,42
21.00	210	სტარტი-მანდალი	1,5	4,0	5,0	1,09	1,15	2,22

ფინეთი. ვეიკაუსლიგა. XIV ტური
14 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.30	213	როვანიემი-ჰაამეენლინა	1,9	3,2	3,5	1,19	1,23	1,67

15 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
19.00	214	მიუპა-კტპ	1,7	3,3	4,4	1,12	1,22	1,88
19.30	215	ტპ 47-ლაპტი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
19.30	216	იარო-ტამპერე	3,3	3,2	2,0	1,62	1,24	1,23

რუსეთი. პრემიერლიგა. XVI ტური
14 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
15.00	247	სატურნი-შინიკი	1,6	3,3	5,3	1,07	1,22	2,03

უკრაინა. პრემიერლიგა. I ტური
15 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
16.00	259	დნიპრო-მეტალისტი	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
16.00	260	მეტალურგი-ობოლონი	1,3	4,0	8,0	1	1,11	2,66
16.00	261	ვოლინი-ტავრია	1,55	3,3	5,6	1,05	1,21	2,07
16.00	262	ვორსკლა-არსენალი	2,0	2,9	3,5	1,18	1,27	1,58
16.00	263	ბორისფენი-ზაპოროჟიე	2,3	2,7	3,1	1,24	1,32	1,44
16.00	264	ჩერნომორეცი-კრივბასი	1,45	3,5	6,5	1,02	1,18	2,27
16.00	265	დინამო-შახტარი	1,95	3,0	3,5	1,18	1,25	1,61

აშშ. MLS
14 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
03.30	298	ნიუ ინგლენდი-ჩიკაგო	2,6	3,0	2,45	1,39	1,26	1,34
05.30	299	კოლორადო-ლოს ანჯელესი	2,4	3,0	2,7	1,33	1,27	1,42

ჩემპიონთა ლიგა
14 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	311	ვიტ ჯორჯია-ჰბ	1,15	5,0	10,0	1	1,03	3,33
19.00	312	გომელი-ტირანა	1,6	3,5	4,8	1,09	1,2	2,02
19.30	313	სკონტო-რილი	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
20.00	314	ფლორა-ვორიცა	2,6	3,1	2,4	1,41	1,24	1,35
21.00	315	შერიფი-ეენესი	1,15	5,6	11,0	1	1,04	3,71
22.45	316	ლინფილდი-ჰიკ	3,1	3,1	2,15	1,55	1,26	1,26
24.00	317	რეიკიავიკი-შელბურნი	2,05	3,1	3,3	1,23	1,26	1,59

უეფას თასი
15 ივლისი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
18.00	321	შირაკი-შერიფი	2,15	3,2	2,9	1,28	1,23	1,52
19.00	322	თბილისი-შამქირი	1,4	4,0	6,0	1,03	1,13	2,4
19.00	323	ეკრანასი-დუდელანჟი	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
19.00	324	ბ.ბისტრიცა-ყარაბახი	1,2	5,0	9,0	1	1,05	3,21
19.30	325	ბატე-დინამო(თბ)	1,8	3,3	3,4	1,16	1,17	1,67
20.00	326	ჰაჯა-ეტცელა	1,05	6,5	15,0	1	1	4,53
20.00	327	ლევადია-ბოჰემიანი	2,3	3,1	2,8	1,32	1,26	1,47
20.00	328	ნისტრუ-სოლიგორსკი	1,9	3,3	3,4	1,2	1,21	1,67
20.00	329	პარტიზანი(ტირ)-ბირკირკარა	1,4	4,0	6,0	1,03	1,13	2,4
20.30	330	ილიჩოვეცი-ბანანცი	1,3	4,0	8,0	1	1,11	2,66
21.00	331	ომონია-სლოვა	1,55	3,5	4,6	1,07	1,15	1,98
21.00	332	იოსტერსი-ტნს	1,4	3,8	6,0	1,02	1,13	2,32
21.00	333	ოცელული-დინამო(ტირ)	1,45	3,8	5,3	1,04	1,13	2,21
21.15	334	სანტა კოლომა-მოდრიცა	8,0	4,6	1,25	2,92	1,08	1
21.30	335	ვადუცი-ლონგფორდი	1,7	3,3	4,2	1,12	1,21	1,84
22.00	336	სილეკსი-მარიბორი	2,8	3,1	2,25	1,47	1,24	1,3
22.00	337	ბ 36-ლიეპაია	4,4	3,4	1,65	1,91	1,2	1,11
22.00	338	ბ 68-ვენტსპილსი	5,6	3,6	1,45	2,19	1,15	1,03
22.00	339	მარსაქსლოკი-პრიმორიე	5,0	3,6	1,5	2,09	1,15	1,05
22.00	340	პორტადაუნი-ჟალგირისი	2,6	3,2	2,3	1,43	1,22	1,33
22.30	341	ჰაერფიორდეესტი-ჰაფნარფიორდური	2,25	3,2	2,7	1,32	1,22	1,46
22.45	342	პენაროსა-ჟელეზნიჩარი	11,0	5,6	1,12	3,71	1,01	1
23.00	343	გლენტორანი-ალიანსი	3,0	3,1	2,15	1,52	1,25	1,26
23.15	344	აკრანესი-ტალინი	1,55	3,5	5,0	1,07	1,18	2,05

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ამერიკის თასი 2004. ჯგუფური ტურნირი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		14 ივლისი						
02.30	031	კოსტა რიკა-ჩილე	4,2	3,4	1,7	1,87	1,21	1,13
04.45	032	ბრაზილია-პარაგვაი	1,8	2,9	4,8	1,11	1,3	1,8

I ტაიმის შედეგი

14 ივლისი							
5031	კოსტა რიკა-ჩილე	5,0	2,1	2,15	1,47	1,5	1,06
5032	ბრაზილია-პარაგვაი	2,25	2,1	4,6	1,08	1,51	1,44

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
14 ივლისი			
5331	კოსტა რიკა-ჩილე	1,6	2,0
5332	ბრაზილია-პარაგვაი	1,6	2,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
14 ივლისი										
5131	კოსტა რიკა-ჩილე	6,5	10,0	20,0	7,5	4,8	3,4	20,0	10,0	2,4
5132	ბრაზილია-პარაგვაი	2,6	10,0	20,0	3,6	4,0	9,0	20,0	10,0	7,5

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შესრულად ჩაითვლება)

14 ივლისი			
5431	კოსტა რიკა-ჩილე	1,55	2,5
5432	ბრაზილია-პარაგვაი	1,6	2,4

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

14 ივლისი			
5231	კოსტა რიკა-ჩილე	1,7	1,9
5232	ბრაზილია-პარაგვაი	1,6	2,0

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
14 ივლისი				
5531	კოსტა რიკა-ჩილე	3,0	2,8	2,0
5532	ბრაზილია-პარაგვაი	3,0	2,8	2,0

CROCO BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	ირანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

გუშინ სარაგოსაში ქართველმა ჭაბუკებმა ტურნირის ყველაზე პრინციპული მატჩი წააგეს. ჯერ ერთი, მეტოქე რუსეთი იყო, თუმც მთავარი ამ მატჩის სატურნირო მნიშვნელობა გახლდათ. გამარჯვების შემთხვევაში ქართველები მეოთხედფინალში გასვლას ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ტურით ადრე ინაღდებდნენ. თამაზ ოქრუაშვილის გუნდმა ყველაზე საჭირო მომენტში ვერ შეძლო მობილიზება, რუსებს პირველი მეოთხედი მოუგო და მერე თითქმის ყველაფერში დაიჩაგრა. ჩვენი გუნდის ლიდერებს გუშინ სარაგოსაში რომ შევეხმიანეთ, გულგატეხილნი იყვნენ, ყველაფერში გვაჯობეს, ფიზმომზადებიდან დაწყებული, ტაქტიკით დამთავრებლიო...

მე პასი...

რუსებმა 10 წუთში გაგვიფრეს

მანუჩარ მარკოიშვილი:

— კარგად კი დავიწყეთ, მაგრამ პირველი მეოთხედის მოგება არაფერს ნიშნავს, თამაში 40 წუთი გრძელდება. მეორე ათწუთეულში ყველამ ერთბაშად ავურიეთ, მონდომებაც სადღაც გაქრა და პირველი ტაიმის შემდეგ გავნადგურდით კიდეც.

— მეტოქე რუსეთი იყო და თითქოს მეტი მონდომებით უნდა გეთამაშათ...

— ეგ არაფერ შუაშია, მეტოქე რუსეთი იყო თუ სხვა, ჩვენ მოსაგებად ვთამაშობდით, მაგრამ ვერ შევძელით.

— რუსეთი დაამარცხა ლატვიამ, რომელსაც თქვენ წინა მატჩში მოუგეთ...

— ლატვიამ მეტი ჯიგარი ჩადო თამაშში, სამწუხაროდ, ჩვენ ეს ვერ მოვახერხეთ.

— წაგებას რას დააბრალებ?

— მონდომება არ გვეყო. შეიძლებოდა, უფრო აგრესიულად და აზრიანად გვეთამაშა, მაგრამ არ გამოვიდა.

— მაშ, პირველ მეოთხედში როგორ მოახერხეთ?

— რომ ვთქვა, პირველ მეოთხედში თავი გავიგიჟეთო, არ იქნება სწორი. უბრალოდ, ვაჯობეთ მეტოქეს, რომელმაც შემდეგ ტაქტიკა შეცვალა და შანსი არ დაგვიტოვა.

— იმედი როდის გადაგეწურათ?

— პირველი ტაიმის შემდეგ. მესამე მეოთხედის წინ სამ ქულას ვაგებდით და მოედანზე რომ დავბრუნდით, რუსებმა ყველაფერში გვაჯობეს. ერთადერთი, ვისი გამორჩევაც შეიძლება, ვიქტორ სანიკიძეა.

— თითქოს სასიკეთოდ უნდა ემოქმედა იმას, რომ რუსებს კარგად იცნობს გიორგი ცინცაძე, უმეტესობა ხომ მისი თანაგუნდელია ცსკა-ს დუბლებში...

— მგონი, მაგ ფაქტორმა უარყოფითად უფრო იმოქმედა ჩვენზე. გიო თუ რუსებს იცნობდა, ისინიც ხომ თავისთავად იცნობდნენ მას. თან რუსებისთვის ჩვენი თამაშის სტილიც არ იყო უცხო, შარშანწინ ამ გუნდით ხომ მოსკოვურ ტურნირზე ვითამაშეთ...

ვიქტორ სანიკიძე:

— ყველაზე კარგად გითამაშია...

— დიდი არაფერი.

— ყველას შენსავით რომ ეთამაშა, მაინც წააგებდით?

— რა ვიცი, რა გითხრა. ისე, შედეგიანობით მხრივ თუ ვიტყვით, ყველას რომ ჩემდენი ჩაეგდო, მოვიგებდით.

— მაინც რა მოხდა, რატომ ვერ ითამაშეთ?

— არ მინდა, ტრავმებს დავაბრალო წაგება, თუმც ნახევარი გუნდის ავადმყოფობამაც იქონია შედეგზე გავლენა...

ამ დროს სანიკიძეს ყურმილი ჩვენი ნაკრების ფორვარდმა **დავით საყვარელიძემ** *გამოართვა და გვითხრა:*

— ტრავმები და უჯიგრობა არაფერ შუაშია, რუსებთან წაგების მთავარი მიზეზი არასწორი თამაში იყო. მეტოქემ პირველ რიგში კომბინაციების გათამაშებაში გვაჯობა. პირველ მეოთხედში რუსებმა რომ დაინახეს, ერთსა და იმავე კომბინაციას ვათამაშებდით, ტაქტიკა შეცვალეს, სხვა სტრატეგია აირჩიეს და პირწმინდად გვაჯობეს.

— მერე თქვენ არ გქონდათ კონტრიარაღი?

— ისე გამოვიდა, რომ არ გვქონდა. საერთოდ, ჩვენი ნაკრების თამაში ძალიან მარტივ კომბინაციაზეა დამყარებული — ერთი პასი, ბლოკი და სროლა. რუსები კი ხუთ პასს აკეთებდნენ და ისე გადიოდნენ სასროლად ხელსაყრელ პოზიციაზე, ვერც კი ვხვდებოდით.

— ესე იგი, ყველაფერი ტაქტიკურად გაუმართავი თამაშის ბრალია?

— თუ საწინააღმდეგოს ფიქრობს ვინმე, ანგარიშს შეხედოს, 29 ქულა წავაგეთ. აბა, რუსები არც სიმაღლით გვჯობდნენ და არც სიზუსტით, უფრო გონივრულად ითამაშეს

დავით საყვარელიძე

და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს...

და ჩვენი რესპონდენტი ისევ სანიკიძე გახდა...

— ის კურბანოვი ვერაფრით გააჩერეთ, 27 ქულა რომ ჩაგიგდოთ?

— ძირითადად ზონაში ვიდექით, ერთიერთზე იშვიათად ვიჭერდით კაცს. გვიპოვეს სუსტი წერტილი და კურბანოვმაც აიშვა.

— ჯგუფიდან გასვლის შანსი თუ შეგრჩათ?

— მგონი, აღარანაირი შანსი აღარ გვაქვს, რუსების დამარცხებით კი განაღდებული გვქონდა მეოთხედფინალში გასვლა. თეორიული შანსი ალბათ იქნება, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არც ღირს.

— ევროპის ჩემპიონატის დასრულების შემდეგ ალბათ იტალიაში მიდიხარ...

— დრაჟენ ბრაიკოვიჩს ჭაბუკთა ნაკრებიდან ოთხი მოთამაშე მივყავართ იტალიაში. მე, გიორგი ცინცაძეს, მანუჩარ მარკოიშვილს და ლაშა გამყრელიძეს ბილეთები უკვე ჩამოგვივიდა და ეროვნულ გუნდს იტალიაში შევუერთდებით.

ირაკლი პერტაია

ათენის ოლიმპიადისთვის მზადების გეგმის პირველადი, ორიენტიერ, ბერძნულ-რომაული ტრილის მოკრძალებულ აქტორს ავგენტინელ ქართული შეკრებებისთვის უნდა დაეთმოთ, თუმც მოულოდნელად გეგმა შეცვალეს და დღეს პოლონეთში მიემგზავრებიან საერთაშორისო ტურნირზე. ვარშავაში მედლისთვის ბრძოლას არავის სთხოვენ. უბრალოდ, საბოლოო რეპეტიციას გაივლიან და ორ-სამ დღეში ისევ შიდა შეკრებას გააგრძელებენ.

საათენო სამზადისზე გუშინ ნაკრების თავკაც **ბეგი დარჩიას** *ვესაუბრეთ*

ვარშავაში სუფთა წონით

— პოლონეთში აკაკი ჩაჩუას გარდა ყველა ლიცენზიანტი მიმყავს. ჩაჩუას დასვენების საშუალებას მივცემ. ყველაზე გამოცდილია და მისი ვარშავაში ჭიდაობა საჭიროდ აღარ ჩავთვალე.

— მის მაგივრად რომელიმე ახალგაზრდა ხომ არ მიგყავთ?

— არა, სრული გუნდით არ მივდივართ და არც შედეგს ვთხოვთ ბიჭებს. მთავარი ახლა ბოლო საბრძოლო გამოცდილების მიღებაა. თუმც ერთი სიახლე მაინცაა. ლიცენზიატების მხარდამხარ პერსპექტიული მოჭიდავე უჩა მჟავანაძეც გამოვა. იგი 66 კილოგრამში იჭიდავებს.

— ესე იგი, 66-ში ორი კაცი გვეყოლება?

— არა. მანუჩარ კვირკველია 74-ში იჭიდავებს. როგორც გითხარით, შედეგს დიდ ყურადღებას არ ვაქცევთ, ამიტომ წონის დაკლებასაც არ მოვითხოვთ.

— მანუჩარის გარდა ვინ შეიცვლის წონას?

— ირაკლი ჭოჭუა 60-ში გამოვა, მუხრან ვახტანგაძე 96-ში, რამაზ ნოზაძე და მირიან გიორგაძე კი თავ-თავიანთ წონებში დარჩებიან.

— ბიჭების ამჟამინდელი ფორმით კმაყოფილი ხართ?

— ყველაფერი გეგმის მიხედვით მიდის, ასე რომ, უკმაყოფილების მიზეზიც არ არსებობს.

— ბოლო დროს რომელიმე ლიცენზიანტი ტრავმას ხომ არ შეუწუხებია?

— მხოლოდ გიორგაძეს ჰქონდა მცირე პრობლემები წელთან დაკავშირებით. ბაკურიანულ შეკრებაზე აღდგენითი პროცედურები დაენიშნა და უკვე ყველაფერი რიგზეა.

— ბაკურიანული შეკრება მთლიანად, საერთო ფიზიკურ მომზადებას დაუთმეთ?

— ძირითადად ასე იყო, თუმც ხალიჩაც გვქონდა ჩატანილი და არც მასზე ვარჯიშები დაგვიკლია.

— მორიგ შეკრებას სად გამართავთ?

— 20 ივლისიდან ურეკში გავემგზავრებით და იქ ზედიზედ ორ შეკრებას ჩავატარებთ. ათენში კი 19 აგვისტოს წავალთ, ჩვენი შეჯიბრის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე.

ოთარ მაღლაკელიძე

გამოიცვლის ჰაერს ცქიტიშვილი?



დენვერულ პრესაში გაჩნდა ცნობა ნიკოლოზ ცქიტიშვილის „ნიუ ჯერსიში“ შესაძლო გადასვლის შესახებ. უფრო ზუსტად, ამერიკელი ჟურნალისტები ცდილობენ, გამოარკვიონ, თუ რას სთავაზობს „დენვერი“ „ნიუ ჯერსის“ კენიონ მარტინის სანაცვლოდ და მათი ერთ-ერთი ვერსიით, სხვა დენვერელ მოთამაშეებთან ერთად „ნეტსში“ ცქიტიშვილსაც გაუშვებენ.

ოღონდ ჯერ არაფერია გარკვეული. ითქვა მხოლოდ, რომ „დენვერს“ ძალიან სურს მარტინი და ახლა გაცხოველებულად ევაჭრება „ნიუ ჯერსის“. აგერ, ნენე წაიყვანე, გინდა, ერლ ბოიკინსს ან ნიკოლოზ ცქიტიშვილს მოგცემ, თუ არადა, მომავალი სამი წლის დრაფტებზე პირველ წრეში 5 არჩევნის უფლება მაქვს, ეგებ, ამან მოგხიბლოსო. „ნიუ ჯერსიდან“ კი ჯერ არც ჰო ისმის და არც არა. თუმც, ვინ იცის, ეგებ ისმის კიდეც, მაგრამ ჟურნალისტებს ამას ჯერ არავინ გააგებინებს, ხოლო რასაც თავად მოიპოვებენ, ამერიკელი კოლეგები უშურველად ამზეურებენ თავიანთი გაზეთის ფურცლებზე.

ჰოდა, „როკი მაუნთინის“ ჟურნალისტებმა საიდუმლო წყაროსგან შეიტყვეს, რომ დენვერელებს ნიუჯერსელებისთვის უთქვამთ, ნენეს და ერლ ბოიკინსს ხელი არ დაედება და არც ნიკოლოზ ცქიტიშვილი გვემეტება, თუ გინდათ, მომავალ დრაფტებზე პირველ რაუნდში არჩევანის უფლება წაიღეთ, მარტინს ისედაც ბლოგად ხელფასი უნდა ვუხადოთ, ჩვენთან თუ გადმოვიდაო.

შეგახსენებთ, რომ წინა დღეს იგივე წყარო გარიგებაში ნენეს, ბოიკინსისა და ცქიტიშვილის შესაძლო მონაწილეობას იტყობინებოდა, ახლა კი ამბობს, ამ მოთამაშეებს დენვერელებმა ტაბუ დაადესო.

ასეა თუ ისე, სიმართლეს ჯერ ვერავინ გაიგებს, სანამ „ნიუ ჯერსისა“ და „დენვერის“ შეფები არ შეთანხმდებიან. ჯერჯერობით „დენვერს“ ოფიციალურად არაფერი შეუთავაზებია „ნიუ ჯერსისთვის“, დენვერულ პრესაში კი უკვე ამხელა დავიდარაბა ატყდა. ასეა, როცა სახელიანი მოთამაშე გუნდს იცვლის, თითოეული ნიუანსი საგაზეთო პუბლიკაციის მიზეზი ხდება. სახელიან მოთამაშეში, რა თქმა უნდა, მარტინი იგულისხმება.

ისე, თუ ცქიტიშვილს მართლაც გაუშვებენ „ნიუ ჯერსიში“, ქართველი ამით მხოლოდ მოგებული დარჩება. ჯერ ხომ ისედაც არ ათამაშებდნენ და მისი თანაამპლუელი კენიონ მარტინის მისვლის შემდეგ რაღა იქნება?!

ირაკლი პერტაია

კასიმჯანოვი საბერძნეთია

ადამსი ფავორიტობამ დაღუპა

მსოფლიოს ჩემპიონატი

ლიბია, ტრიპოლი 18 ივნისი — 13 ივლისი

ფინალი ტაი-ბრეიკი

მაიკლ ადამსი (ინგლისი) — რუსტამ კასიმჯანოვი (უზბეკეთი) 0:1	0,5:0,5
საერთო ანგარიში	4,5:3,5

დიდი ამბები დაატრიალა 24 წლის რუსტამ კასიმჯანოვმა ლიბიაში. ფიდეს რეიტინგსიის 54-ე ნომერმა უზბეკმა მსოფლიოს ჩემპიონატზე პლანეტის ცნობილი დიდოსტატები ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა და ჩემპიონიც გახდა

იყო დრო, ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი ქვეყნად უჭკვიანეს ადამიანად ითვლებოდა და ყველასგან დიდი დაფასებაც ჰქონდა. სამწუხაროდ, ის დრო უკვე წავიდა. რაც მსოფლიოს მე-13 ჩემპიონი გარი კასპაროვი რამდენიმე წლის წინ ფიდეს აუჯანყდა, მას შემდეგ საჭადრაკო პირველობებიც საკმაოდ აირია. ფიდემ და კასპაროვმა დამოუკიდებლად დაიწყეს ჩემპიონატების ჩატარება, ამასთან ჟურნალისტთა უმეტესობა პლანეტის უძლიერეს მოჭადრაკედ კვლავ კასპაროვს აღიარებდა. მოკლედ, დიდი დარდუბალა იყო. ორიოდე წლის წინ კი საქმე გამოსწორებისკენ წავიდა. კასპაროვმა და ფიდემ შერიგება გადაწყვიტეს და მოილაპარაკეს, მსოფლიოს ერთი და ნამდვილი ჩემპიონი ჰყოლოდა.

ახლანდელ გამარჯვებულ რუსტამ კასიმჯანოვს კი პირობითად თუ ჰქვია ჩემპიონი, თორემ სინამდვილეში მეოთხე კაცია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას. უზბეკს კასპაროვთან მოუწევს ჯაბი, ხოლო მათში გამარჯვებული უნგრელ პეტერ ლეკოსა და რუს ვლადიმერ კრამნიკს შორის მოგებულს შეხვდება.

ახლა კი კვლავ ლიბიას დავუბრუნდეთ. ჩემპიონატზე მონაწილეთა გარდა სხვა ცნობილი დიდოსტატებიც არიან ჩასულნი და სხვადასხვა მოთამაშესა და პარტიაზე თავიანთ აზრს გამოთქვამენ. ტრიპოლიში იმყოფება ფიდეს უკრაინელ ექსჩემპიონ რუსლან პონომარიოვის მწვრთნელი სილვიო დანილოვი და ფინალისტებზე საუბრობს: „ადამსი შავი ფიგურებით თამაშისას საკმაოდ დაძაბულია. როცა კასიმჯანოვი თეთრებითაა, თამაში „ცალკარაა“.

დანილოვს სულაც არ უკვირსყ ფიდეს რეიტინგსიაში 54-ე კასიმჯანოვი მეექვსეზე მყოფ ადამსს ასე ყოჩაღად რომ ეთამაშა: „ერთი თვეა, თამაშები საკმაოდ ექსტრემალურ ვითარებაში მიმდინარეობს. ადამსის ჩავარდნაც ალბათ გადაღლის ბრალია. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს მთავარი, ფავორიტის მძიმე ტვირთი... მაგალითისთვის საბერძნეთის საფეხბურთო ნაკრები ავიღოთ, რომელიც ევროპის ჩემპიონი გახდა. ამ მოვლენამ დაგვანახა, რომ სპორტში ასეთი რამ შესაძლებელია. კასიმჯანოვი, რომლისგანაც არავინ არაფერს ელოდა, ლაღად და აუღელვებლად თამაშობდა, მისი მეტოქე კი საკმაოდ დაძაბული იყო“.

ადამსსა და კასიმჯანოვს ჩემპიონის გამოსავლენად, მოგეხსენებათ, ექვსმატჩიანი დუელი არ ეყოთ და ოქროსთვის ბრძოლა ტაი-ბრეიკებში გააგრძელეს. დაფის თეთრი ფიგურებით გაწყობილი მხარეს პირველი [illegible] კასიმჯანოვს [illegible] არჩია, [illegible] მოიშალა და ლატვიელ [illegible]-დან მიაწვა ინგლისელს. ადამსი მომხდურს მომზადებული დახვდა, უზბეკის მოიერიშეებს საკუთარი მცველები შეაგება და ფიგურების გაცვლა დაიწყო. 37-ე სვლაზე ადამსს მხედარი, ეტლი და სამი პაიკი შერჩა, კასიმჯანოვსაც ამდენივე ფიგურა, თუმც ცხენის ნაცვლად კუ და თანაც დარჩენილი სამივე პაიკი ინგლისელზე კარგად ჰყავდა განლაგებული.

მეტოქეები პაიკების გაყვანას შეუდგნენ, ამ მანევრებში კი ადამსი შეცდა, ის კუც დაკარგა და მე-60 სვლაზე დროშა დაუშვა.

კასიმჯანოვმა მეორე პარტიაშიც ყურადღებით ითამაშა, თავიდან დაცვაში საიმედოდ განალაგა ფიგურები, შემდეგ კი პატარ-პატარა იერიშებით ინგლისელს მანევრირების საშუალება არ მისცა და 48-ე სვლაზე ყაიმით დიდ გამარჯვებას მიაღწია.

კასიმჯანოვისა და კასპაროვის შეხვედრა მომავალი წლისთვისაა დაგეგმილი, ლეკო და კრამნიკი კი სექტემბერ-ოქტომბერში დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ლაშა გეგეჭკორი

საზაფხულო სეზონი



რაკიღა მილეთისთვის საჩოგბურთო რეიტინგსიები კარგა ხანია არ შეგვითავაზებია, ვსარგებლობთ ადრეკვირაში კორტებზე არსებული შედარებითი დაუძაბავობით და სამსავე ნუსხას წარმოგიდგენთ.

კაცთა შორის უპირობოდ და უდიდესი მარაგით პირველოსნობს 22 წლის შვეიცარიელი როჯერ ფედერერი, რომელმაც — მანამდე ჩოგანი არავის აუდგეს — სანამ წლის ბოლომდე ეგოდენ დომინანტური პოზიცია არ დათმოს.

სხვაფრივ, ორსავე სიაში მას დაახლოებით ერთნაირი შემადგენლობა მოსდევს — და ამ მეჩოგნეთაგან ყველა თავ-თავიანთი საქულე მარაგის შევსებას სამაგარსაფრო ამერიკულ ტურნირებზე ეცდება.

ქალთა შორის კი კვლავაც შეუცილებელნი არიან ბელგიელები — ჟუსტინ ენენ-არდენი და კიმ კლაისტერსი, თუმცა, რაკიღა ტრავმიანობამ მათ ორ-ორი თვე უკვე ჩაუგდო და კიდევ რამდენს ჩაუგდებს, არავინ იცის, უახლოეს მომავალში ეგებ ჩამოლაბორანტდნენ კიდეც.

განსაკუთრებული ტემპებით მათ (და ყველა დანარჩენსაც) რუსი ქალები უტევენ — ამათ ზეცამეტეულში უკვე ექვსი წარმომადგენელი ჰყავთ და, იმის გათვალისწინებით, რომ: ა) შებერებული ამერიკელები ნელ-ნელა გოდოლებს თმობენ და ბ) ამ ექვსს ქვევით სხვებიც მოჰყვებიან, მალე რუსული „ქალთა ჩოგბურთის საერთაშორისო ენად“ იქცევა.

რაც შეეხება ირაკლი ლაბაძეს, მას ამ ბოლოს აღარ გაუბრწყინია, მაგრამ იმის გამო, რომ წინ არც მისი ახლომახლო კონკურენტები გაჭრილან, თავის ადგილს ზეორმოცდაათეულში უპრობლემოდ ინარჩუნებს.

ვაჟები — 12-თვიანი მგორავი რეიტინგსიები

1	როჯერ ფედერერი (შვეიცარია)	5665
2	ენდი როდიკი (აშშ)	4945
3	გილერმო კორია (არგენტინა)	3770
4	კარლოს მოია (ესპანეთი)	2610
5	ტიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)	2505
6	დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა)	2475
7	ხუან კარლოს ფერერო (ესპანეთი)	2435
8	რაინერ შუტლერი (გერმანია)	2190
9	ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრალია)	1990
10	ანდრე აგასი (აშშ)	1905
11	გასტონ გაუდიო (არგენტინა)	1745
12	სებასტიან გროჟანი (საფრანგეთი)	1665
13	ნიკოლას მასუ (ჩილე)	1643
14	პარადორნ შრიჩაფანი (ტაილანდი)	1465
15	მარატ საფინი (რუსეთი)	1425
16	ხუან იგნასიო ჩელა (არგენტინა)	1320
17	ანდრეი პაველი (რუმინეთი)	1299
18	მარდი ფიში (აშშ)	1225
19	ტომი რობრედო (ესპანეთი)	1215
20	დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი)	1211
42	ირაკლი ლაბაძე (საქართველო)	802

ქალები

1	ჟუსტინ ენენ-არდენი (ბელგია)	5307
2	კიმ კლაისტერსი (ბელგია)	4421
3	ამელი მორესმო (საფრანგეთი)	4031
4	ანასტასია მისკინა (რუსეთი)	3720
5	ლინდსი დევენპორტი (აშშ)	3297
6	ელენა დემენტიევა (რუსეთი)	2884
7	ჯენიფერ კაპრიატი (აშშ)	2758
8	მარია შარაპოვა (რუსეთი)	2386
9	სვეტლანა კუზნეცოვა (რუსეთი)	2113
10	აი სუგიამა (იაპონია)	1925
11	პაოლა სუარესი (არგენტინა)	1913
12	ნადია პეტროვა (რუსეთი)	1857
13	ვერა ზვონარიოვა (რუსეთი)	1748
14	სერენა უილიამსი (აშშ)	1649
15	ვინუს უილიამსი (აშშ)	1640
16	პატი შნიდერი (შვეიცარია)	1620
17	ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (ისრაელი)	1468
18	ფრანჩესკა სკიავონე (იტალია)	1448
19	სილვია ფარინა ელია (იტალია)	1232
20	კაროლინა სპრემი (ხორვატია)	1224

ჩემპიონთა რბოლა

1	ფედერერი	781
2	კორია	479
3	როდიკი	454
4	მოია	414
5	ჰენმანი	319
6	ჰიუიტი	316
7	გაუდიო	306
8	საფინი	283
9	ნალბანდიანი	252
10	გროჟანი	235
11	ჰრბატი	197
12	ჩელა	191
13	მარია ანჩიჩი (ხორვატია)	187
14	რობრედო	183
15	ვინს სპედია (აშშ)	179
16	აგასი	168
16	ფერნანდო გონსალესი (ჩილე)	168
18	ფერერო	166
19	პაველი	164
20	გუსტავო კუერტენი (ბრაზილია)	158
41	ლაბაძე	97

ბერძნული პრობლემები ქართული პარალელებით

ოლიმპიაში დანთებული ოლიმპიური ჩირაღდანი ათენისკენ მიმავალ გზაზე და თავად საბერძნეთის დედაქალაქში რომ არაერთხელ ჩაქრა, ეს ცუდად ენიშნათ ბერძნებს.

მართლაც, ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს პრობლემა პრობლემაზე ემატებათ. სპორტული ბაზების მშენებლობის გრაფიკი ხომ კარგა ხნის წინათ დაირღვა და მის გამოსწორებასაც აღარ დაადგა საშველი. ამიტომაც საოლიმპიადოდ ბევრი ბაზა ვერ იქნება მთლად ისეთი, როგორიც დაგეგმილი ჰქონდათ.

სპორტული ბაზების პრობლემას სხვაც მრავალი დაემატა: ხან მშენებლები აწყობენ გაფიცვებს, ხელფასი მოგვიმატეთო, ხან საორგანიზაციო კომიტეტს ძარცვავენ, ხანაც სპორტულ ბაზებზე გარეშე პირები ეპარებათ.

ყოველივე ამას ისიც დაემატა, რომ ამ დღეებში ათენის ოლიმპიურ ბაზებთან ზედიზედ ორი ხანძარი გაჩნდა, ამ უბედურებას კი ათენის თითქმის სრული უელექტროობა მოჰყვა.

უდენობის გამო ყველა ოლიმპიურ ბაზაზე, მათ შორის მთავარ ოლიმპიურ სტადიონზე, სადაც თამაშების გახსნა-დახურვის ცერემონიალებიც უნდა გაიმართოს, სამუშაოები შეწყდა. ამასთან, აღარც შუქნიშნები მუშაობდა, აღარც ელექტრომავლები. გაჩერდა მეტროც...

ერთი სიტყვით, ათენი თბილისს დაემსგავსა.

ენერგეტიკული კომპანია „დეი" ყოველივეში თავად ათენელებს ადანაშაულებს, მკვეთრად გაზარდეს ელექტროენერგიის მოხმარება, რასაც მოწყობილობებმა ვერ გაუძლესო, მაგრამ მოქალაქეებსაც ხომ უნდა გავუგოთ. ბოლო დღეებში ათენში 48-გრადუსიანი სიცხეა, თუმცა ასეთი პაპანაქება იქაურთათვის არც უცხოა.

ასე იყო თუ ისე, ათენის ხელისუფალთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ 2-3 საათის მერე ელექტროენერგიის მიწოდება ნაწილობრივ აღადგინეს.

და მაინც, ყოველივე ამან, ცხადია, ოლიმპიური თამაშების უსაფრთხოების თაობაზე განგაში გამოიწვია. ამასთან დაკავშირებით საბერძნეთის რადიოთი გამოვიდა ქვეყნის განვითარების მინისტრი გეორგიოს სიუფასი, რომელმაც განაცხადა, რომ ავარიის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება 70 პროცენტით აღდგა და უახლოეს მომავალში დენი სრულად მიეწოდებაო. მისი თქმით, ელექტროენერგიის გამორთვის მიზეზი გახდა დენის მიწოდების სისტემის ხარვეზები.

ამასთან, სიუფასი ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ავარია არანაირად არ არის დაკავშირებული ოლიმპიურ თამაშებთან და მისი მსვლელობისას ყველაფერი ნორმალურად იქნება.

ავთანდილ ბუკვიშელი

ჩვენი ხალხი ათენში

ოლიმპიურ თამაშებზე, ისე როგორც სხვა ნებისმიერ საერთაშორისო შეჯიბრებაზე, ამა თუ იმ ქვეყნის სპორტსმენისა თუ გუნდის მიმართ ობიექტური მსჯელობა ხშირად იმაზე ჰკიდია, თუ ვის როგორი პატრონი ჰყავს. პატრონში ვგულისხმობთ ქვეყნის წარმომადგენელ დელეგატსაც, მსჯელსაც და ბევრ სხვასაც, რომელთაც საქართველო დამოუკიდებლობის აღდგენის მერე ოლიმპიურ თამაშებზე ძალზე მოისაკლისებდა. და თუ მაინც გვყავდა ასეთი, ეს უფრო გამონაკლისი იყო.

საათენოდ, ამ მხრივ ვითარება უკეთესობისკენ იცვლება. საბერძნეთის დედაქალაქში მსაჯებად და დელეგატებად საქართველოდან ექვსი წარმომადგენელია მიწვეული. მათ შორის არის საქართველოს ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი, როგორც შესაბამისი საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელობის წევრი.

ათენში მიწვეულია სოფთბოლის საერთაშორისო ფედერაციის ვიცეპრეზიდენტი რამაზ გოგლიძეც.

ფარიკაობის საერთაშორისო ფედერაციის დელეგატი იქნება მორის სახვაძე, ხოლო მსაჯებად ისაქმიანებენ სამნი: ომარ ღონლაძე, (სპორტული ტანვარჯიში), ედიშერ მაჩაიძე (ჭიდაობა) და დავით სახვაძე (თანამედროვე ხუთჭიდში მოფარიკავეთა შეჯიბრება).

სამწუხარო ისაა, რომ ათენში ამ სახეობათაგან სპორტსმენი არ გვეყოლება არც ფარიკაობაში, არც თანამედროვე ხუთჭიდში და, მით უმეტეს, არც სოფტბოლში.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე განსაკუთრებული სტუმრის სტატუსით მიწვეულნი არიან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია. ისინი მოუცლელობის მიუხედავად, ალბათ მაინც მოახერხებენ ოლიმპიადის რომელიმე ეტაპზე ჩასვლას, რაც ჩვენი ოლიმპიელებისთვისაც დიდი სტიმული იქნება და ქვეყნის იმიჯსაც წაადგება.

ავთანდილ ბუკვიშელი

უცნაური არითმეტიკა

ათენის ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე ბევრიც არაფერი გვაშორებს, მაგრამ შეჯიბრებებზე დასასწრები ბილეთების დიდი წილი — 7 მილიონ 300 ათასი ჯერ კიდევ გაუყიდავია. იმ ბილეთებიდან, რომლებიც ეგრეთ წოდებულ თავისუფალ გაყიდვაში გავიდა, 2 მილიონამდეა რეალიზებული, რაც 30 პროცენტზე ცოტა მეტია. ამის მიუხედავად ათენის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები გულმშვიდად ამბობენ, რომ ბილეთების გაყიდვით დაგეგმილი შემოსავლის 80 პროცენტი უკვე მივიღეთო. ეს უცნაური არითმეტიკი იმით აიხსნება, რომ გასაყიდი ბილეთების უმეტესობა იაფფასიანია.

არ აპაცილო, ბებია

ანეტ ვუდვორდი

როცა ამბობენ, ოლიმპიური თამაშები დემოკრატიული შეჯიბრებაო, ამაში, უწინარეს ყოვლისა, სპორტსმენთა ასაკს გულისხმობენ. ოლიმპიურ თამაშებს ახსოვს 40 წელსა და ნახევარ საუკუნეს გადაცილებული სპორტსმენები და სრულიად ნორჩი, 13 წლის ბავშვებიც, რომლებსაც ოლიმპიური მედლები მოუპოვებიათ.

ახლა საათენოდ ნახევარ საუკუნეს კარგა ხნის წინათ გადაცილებული ერთი ავსტრალიელი ბებია, 56 წლის ანეტ ვუდვორდიც ემზადება, რომელმაც თამაშებში მონაწილეობის უფლება 25 მეტრზე პისტოლეტიდან სროლაში მოიპოვა.

ეს ბებიაქალი ავსტრალიელთაგან ბოლო 28 წლის განმავლობაში ოლიმპიური თამაშების ყველაზე ასაკოვანი მონაწილე იქნება. აქ უჩვეულო არა მხოლოდ მისი ასაკი, არამედ ის გარემოებაა, რომ ანეტ ვუდვორდმა სროლაში სერიოზული ვარჯიში 1990 წელს დაიწყო, ანუ მაშინ, როცა 42-ისა იყო.

6 შვილის დედა განსაკუთრებით შთაგონა 52 წლის პატრის ჰდენჩის მაგალითმა, რომელიც 1984 წელს ლოს ანჯელესის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. ანეტ ვუდვორდმა თავდაპირველად სროლა მშვილდით დაიწყო, მერე კი ტყვიის სროლაზე გადავიდა.

— როგორც ყველა ნორმალურ ადამიანს, მეც თავდაპირველად ძალიან მაშინებდა ცეცხლსასროლი იარაღი. იგი ძალზე უსიამოვნო ასოციაციას იწვევდა განგსტერული საქმეების გარჩევებიდან — ამბობს ანეტი — მაგრამ მე პირველსავე გასროლით პირდაპირ ათიანში მოვარტყი და მივხვდი, რომ ეს ჩემი საქმე იყო.

სულ რაღაც ოთხიოდე წლის მერე ვუდვორდმა გაიმარჯვა თანამეგობრობის თამაშებზე, სადაც ორი ოქროს მედალი მოიპოვა. იგი გამოვიდა ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზეც, მერე კი, 1998 წელს კვლავ იმარჯვა თანამეგობრობის თამაშებზე. ამის მერე ქმრის ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა სასროლეთს გამოთხოვებოდა. მერე დაქვრივდა და კვლავ იარაღი აიღო ხელში.

— ის, რომ მე კვლავ ოლიმპიურ გუნდში ვარ, ამტკიცებს იმას, თუ რა ბევრს ნიშნავს სპორტსმენისთვის საკუთარი ძალების რწმენა: ახლა ჩემი მიზანი ათენის ოლიმპიურ თამაშებზე უმაღლესი ოლიმპიური ჯილდოსთვის ბრძოლაა და, მგონია, რომ ეს შემიძლია.

ავთანდილ ბუკვიშელი

გაეყრება ჯონსი ქმარს?

შეერთებული შტატების მძლეოსანთა გუნდი ოლიმპიურ თამაშებს ტიმ მონტგომერის გარეშე ეწვევა. 100 მეტრზე სირბილში მსოფლიოს რეკორდსმენმა აშშ-ში მიმდინარე ჩემპიონატის ფინალურ გარბენში მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავა.

„იმედგაცრუების უმთავრესი მიზეზი თქვენ ხართ — უთხრა სტადიონის დატოვებამდე ტიმმა ჟურნალისტებს — იმის მაგივრად, რომ მთლიანად ჩემს საქმეზე გადავრთულიყავი, თქვენს ბრალდებებს ვისმენდი". ბოლო თვეებში მონტგომერის მართლაც დიდი პრობლემები შეექმნა. მას აკრძალული პრეპარატების მიღებაში სდებენ ბრალს და თუ დაუმტკიცდა, ალბათ სამუდამო დისკვალიფიკაციასაც ვერ ასცდება.

უიღბლოდ დაიწყო ჩემპიონატი ტიმის საქვეყნოდ ცნობილმა მეუღლემ, სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა მერიონ ჯონსმაც. ათენის საგზური ჯერ არც მას გაუნაღდებია, თუმცა საამისოდ ორი შანსი კიდევ მიეცემა. წინ ორას მეტრზე სირბილი და სიგრძეზე ხტომაა.

ბოლოს 100 მეტრის ჩემპიონებზეც გეტყვით. კაცებში ყველას მსოფლიოს ექსრეკორდსმენმა და სიდნეი 2000-ის ჩემპიონმა მორის გრინმა აჯობა, ქალებში კი ლა ტაშა კოლანდერმა. ორივე ეს მძლეოსანი გამოცდილი მწვრთნელის ტრევორ გრეჰემის შეგირდია. წლების მანძილზე სწორედ გრეჰემი ავარჯიშებდა მონტგომერისაც და ჯონსსაც, თუმც შარშან ცოლ-ქმარმა მასთან განშორება გადაწყვიტა.

ოთარ მაღლაკელიძე



უკრაინელთა 650 ჩემოდანი

საქართველოს ოლიმპიური დელეგაციის შემადგენლობის შესახებ მკითხველს ამას წინათ მოვახსენეთ, მაგრამ რა მდგომარეობა აქვთ ამ მხრივ ჩვენს ყოფილ მოძმე რესპუბლიკებს? ამის გასარკვევად ახლა უკრაინას გადავხედოთ და ვნახავთ, რომ მათ სპორტის 27 სახეობაში 237 ლიცენზირებული ათლეტი ჰყავთ. მათ შორის 78-ს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის გამოცდილება აქვს. ასეთები არიან, მაგალითად, ოლიმპიური ჩემპიონები: მოცურავე იანა კლოჩკოვა, აფროსანი იგორ მატვიენკო, მესტენდური ნიკოლაი მილჩევი.

ამას გარდა, დელეგაციაში არის ოლიმპიური თამაშების 19 პრიზიორი, მსოფლიოსა და ევროპის 22 ჩემპიონი.

ათენის ოლიმპიურ თამაშებზე უკრაინას საერთო ჯამში 650-კაციანი დელეგაცია წარმოადგენს.

მოლდოველთა გამდიდრების შანსი

მოლდოვის ეროვნულმა ოლიმპიურმა კომიტეტმა ოფიციალურად გამოაცხადა იმ პრემიალური თანხის ოდენობა, რომელსაც მათი სპორტსმენები ათენის ოლიმპიურ თამაშებზე წარმატების შემთხვევაში მიიღებენ. ამგვარი პრემიალურები გათვალისწინებულია პირველ ექვს ადგილზე გასული სპორტსმენებისთვის. გამარჯვებული 50 ათას დოლარს მიიღებს, ვერცხლის პრიზიორი — 30, ბრინჯაოსი — 20 ათასს.

8 ათასი დოლარი ერგებათ მე-4 ადგილზე გასულებს. 4-4 ათასს მეხუთეზე, ხოლო 2-2 ათასს მეექვსე ადგილზე გასულები აიღებენ.

REUTERS ლონდონიდან

მეფორმულეებმა ლონდონის ქუჩებში ერთი კვირის წინ, საცდელად უკვე გაიჯირითეს

სატრასო ამბები
ფორმულა ლონდონში და ბაქოში?

მოდით, ორი-სამი წლით წინ გავიხედოთ და ფორმულა 1-ის მორიგი ჩემპიონატის კალენდარში ჩავიხედოთ. სულაც არ იქნება გასაკვირი, თუ უსაშველოდ, ვთქვათ, ოც ეტაპამდე გაბერილ სიაში სან მარინოს, დიდი ბრიტანეთის ან კი-, დევ ერთი-ორი წყალშემდგარი ეტაპის ნაცვლად, მთელ დუნიაზე ყველაზე პრესტიჟულ ავტოსახეობის პილოტთა საჯირითოდ ვიხილავთ თურქეთის, ინდოეთის, რუსეთის, კორეის, ეგვიპტის, პაკისტანის ახალთახალ ტრასებს.

ის კი არა, „სამეფო რბოლების" მასპინძლობის სურვილი ჩვენს კარის მეზობელ აზერბაიჯანსაც გაუჩნდა და ეს ამბიციური მიზანი საქვეყნოდაც გაამხილა. თუმც ვფიქრობთ, ეს უფრო იქაურ პრეზიდენტ ილჰამ ალიევის სარეკლამო სვლაა თავისი ქვეყნისთვის, რადგან საეჭვოა სათანადო პირობების უქონელმა კასპიისპირეთმა ლიცენზიების განმკარგულებელ ბერნი ეკლსტოუნის დაყოლიება შეძლოს.

თურქებმა კი თავიანთსას ეტაპის ჩატარების წინასწარი თანხმობა საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციისგან (FIA) შარშან მიიღეს და გამალებითაც შეუდგნენ სტამბოლის მახლობლად სუპერთანამედროვე ავტოდრომის აგებას. და თუ პატივმოყვარე ოსმალები სამშენებლო გრაფიკიდან არ ამოვარდებიან, უკვე გაისად გაათამაშებენ თავიანთ დიდ პრიზს. აკი ეკლსტოუნმაც სათანადოდ დააფასა თურქთა მოწადინება და 2005 წლის წინასწარ კალენდარში 19 ეტაპი გაითვალისწინა, ახლანდელზე ერთით მეტი.

ისე, სეზონში რბოლათა რაოდენობის გაზრდა იოლად, ერთი ხელის მოსმით არ ხდება. საამისოდ FIA-ს ხელმძღვანელობის ნებართვა და ჩემპიონატში მონაწილე ათივე გუნდის ბოსთა თანხმობაა აუცილებელი.

ახლა რაც შეეხება ბრიტანულ ეტაპს. „სილვერსტოუნი", სადაც 1950 წელს პირველი საფორმულო ჩემპიონატის პირველი რბოლა ჩატარდა, სულს ღაფავს. ლეგენდარული ავტოდრომის მოძველებული ინფრასტრუქტურა სადღეისო მოთხოვნებს ველარ აკმაყოფილებს და ლამის ყოველწლიური შერემონტების მიუხედავად, კალენდრიდან მოკვეთა ემუქრება, თუ, ცხადია, კარგა ბლომად ფული არ დაიხარჯა ათეულ ათასობით მაყურებელთა მომსახურების გასაუმჯობესებლად.

„სამეფო რბოლების" გურუ ეკლსტოუნმა „სილვერსტოუნი" ძველ სახლს შეადარა: „ძველი სახლი მხოლოდ შეიძლება შეაკეთო და მეტი ვერაფერი. ნორსჰემპტონში მდებარე ამ ისტორიულ არენას მხოლოდ სერიოზული რეკონსტრუქცია მისცემს საშუალებას, მეინარჩუნოს ფორმულა ერთის ეტაპი."

ბერნიმ თანამემამულეებს ბებერი „სილვერის" რეანიმაციისთვის ორი წელი დაუთქვა, თან ავტომრბოლთა ბრიტანულ კლუბს, რომელსაც ავტოდრომი ეკუთვნის, თავისი მილიონებით დახმარებას შეჰპირდა.

ამასობაში საკუთარი ეტაპის გამართვის სურვილი გაუჩნდა ლონდონს. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქის მერი კენ ლივინგსტონი ისე მოიხიბლა ერთი კვირის წინ თავის ქუჩებში 900 ცხენისძალიანი ურჩხულების საცდელი გაქროლებით, რომ უკვე სათანადო პროექტზეც ფიქრობს. ასე რომ, სამ წელიწადში მონტე კარლოსთან ერთად იქნებ მეორე „ქუჩური" რბოლაც ვიხილოთ.

საინტერესოა, რომ მსოფლიოს ექვსგზის ჩემპიონმა მიხაელ შუმახერმაც მოიწონა პროექტი, შესანიშნავი იდეაა ლონდონში მონტე კარლოს მსგავსი რბოლის გამართვა და დიდი სიამოვნებით გავიჯირითებო.

გია ახალაძე

ტურ დე ფრანსი 2004
ქარავანი ყეჯნ, არმსტრონგი მიდის

სანამ ტურ დე ფრანსის ქარავანი ალმართებს შეუყვება, გუშინ ვაკეზე ჭულიანად გაჯირითდა. ასეთ რბოლებს ყოველთვის ახლავს შეტაკებები და უავარიოდ არც მე-9 ეტაპს ჩაუვლია.

თუმც ავარიაში ისეთი არავინ მოყოლილა, ჩემპიონობაზე რომ იქაჩება, მაგრამ მაინც აღვნიშნოთ: ფინიშამდე 5 კილომეტრი რჩებოდა, ესპანელი პრადერა და ნორვეგიელი არვესენი ერთმანეთში რომ აიბილნენ. სანამ რბოლას დაუბრუნდებოდნენ, პელოტონი ჰორიზონტს მიეფარა და ორმა უიღბლომაც ლიდერთან 7 წუთის დაგვიანებით მიაღწია ფინიშამდე.

უფრო მეტად არ გაუმართლა წლევანდელი ტურის პირველი ეტაპის მომგებ ესტონელ იან კირსიპუუს, რომელსაც ველო შუა გზაში გაუფუჭდა და ტექპერსონალის რეაქტიული დახმარების მიუხედავად რბოლის გაგრძელებას აზრი დაეკარგა.

მე-10 ეტაპს, ცხადია, იღბლიანებიც ჰყავდა. სენ ლეონარიდან გერეტამდე 160 კილომეტრი უსწრაფესად გაირბოლა ავსტრალიელმა რობი მაკივენმა, ვისაც ერთხელ უკვე ეცვა მწვანე მაისურა მე-2 ეტაპის მოგების შემდეგ.

არადა, სამი დღის წინ მაკივენმა რბოლისას ტრავმა მიიღო და გუშინდელმა გამარჯვებამ ალალად აღაფრთოვანა: „დიდებულად ვირბოლე, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ცოტა ხნის წინ სერიოზული ტრავმა გადავიტანე. ამ ეტაპს შევალიე მთელი ჩემი ძალა, მერე რა იქნება, პელოტონი მთებს რომ შეუყვება, არ ვიცი."

მე-9 ეტაპი. 13 ივლისი
სენ ლეონარი — გერეტი

1. რობი მაკივენი (ავსტრალია, ლოტო) 3სთ 32წთ 55წმ
2. ტორ ჰუსვოდი (ნორვეგია, აგრიკოლა) იგივე დრო
3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) იგივე დრო



საერთო ჩათვლა

1. ტომას ვეკლერი (საფრანგეთი, ბულანი) 36სთ 36წთ 31წმ
2. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია, კოფიდისი) +2წთ 53წმ
3. სანდი სესარი (საფრანგეთი, FDJ) +4წთ 6წმ

საჩემპიონოდ მომართული ლენს არმსტრონგი კი სწორედ რბოლის მთაგრეხილებზე გადანაცვლებას ელის, რათა ყველას დაანახოს, რომ ტურ დე ფრანსის მეფე ჯერაც ცოცხალია. არმსტრონგი გუშინ 44-ე მივიდა ფინიშთან, მაგრამ როგორც მოლიდერე პელოტონის წევრს, ლიდერის ნაჩვენები დრო დაერიცხა და საერთო ჩათვლაში ისევ მეექვსეა.

ირაკლი პერტაია

ნაავარიალი ნორვეგიელი კურტ არვესენი

არონ პეირსოლი და ამანდა ბერდი

რეკორდებზე ხელიდან ხელში გადადის

ლონგ ბიჩში მიმდინარე ამერიკელ მოცურავეთა საოლიმპიადო შესარჩევ შეჯიბრებას ყოველდღე მსოფლიოს რეკორდი მოაქვს. მორიგი რეკორდების ავტორები გახდნენ არონ პეირსოლი და ამანდა ბერდი. პირველმა ეს შეძლო 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში, სადაც თავისივე მსოფლიოს რეკორდი გაუუმჯობესა — 1.54,74.

ამვე დისტანციაზე ბრასის სტილით 22 წლის ამანდა ბერდმა დაიბრუნა რეკორდი (2.24,44), რომელიც ორი დღით ადრე ლეიზელ ჯონსმა ჩამოართვა.

ოლიმპიურ გუნდში მოსახვედრად 11 დისციპლინაში მებრძოლმა მაიკლ ფელპსმა პირველი მარცხი იწვნია. იგი არონ პეირსოლის შემდეგ ფინიშთან მეორე იყო — 1.55,86. მიუხედავად ამისა, ფელპსს ათენში ამ სახეობაშიც შეეძლება გამოსვლა, რის გარანტიასაც ლონგ ბიჩში მოპოვებული ვერცხლის მედალიც აძლევს.

REUTERS ალგარდუდან

REUTERS ალგარდუდან

REUTERS ალგარდუდან

ალგარვეს მოლზე

ევროპის ჩემპიონატი დამთავრდა, მაგრამ სამხრეთ პორტუგალიაში, ალგარვეს განთქმულ საკურორტო ტერიტორიაზე ვარსკვლავთა თავმოყრა გრძელდება. „ოლ სტარზის“ სალაღობო ტურნირი გოლფში დიახაც საინტერესო საქმერია. რუბენს ბარიკელო, მგონი, მართლა იბრძვის, ლუიშ ფიგუ გულის გადაყოლებას ცდილობს, პოლ გასკოინი კი სპორტის ჯენტლმენივით გამოწყობილა და გვიცინის. ალგარვეშივე ფეხბურთიც გახურებულია. რამდენი ხანია, არ გინახავთ მოედანზე სერ ბობი ჩარლტონი? ჰოდა, შეგეძლოთ, გენახათ.

მაგიდასთანაც

კობა ამერიკა კობა ამერიკად, და ბრაზილიელთა თავკაც კარლოს ალბერტ-პარეირას მაგიდის ფეხბურთისთვისაც გამოუნახავს დრო. მისი თანაშემწე, დიადი მარიო ზაგალო კი, ჩანს, სერიოზულად დაინტერესებულა ამ თამაშის დაცვის სისტემით.

REUTERS არგენტინიდან

REUTERS ლიმოჟიდან

უთო სჭირდებაა

ტომას ფეკლერი ტურ დე ფრანსის ლიდერია. ეს საპასუხისმგებლო და სასიხარულო საქმეა. ამიტომაც, ველოსიპედი ხალისით აუთოებს ლიდერის ყვითელ მაისურას.

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალაშბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, იღია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, ირმა ჯიშკარიანი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge